გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია


60 თეთრი

№114 (1140) 11 - 12 ნოემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


## 2016 წლიდან ეროვნული გამოცდები ელექტრონული ფორმატით ჩატარდება



შეეხება თუ არა სიახლე პედაგოგებს, პედაგოგობის მსურველებსა და სხვა აპლიკანტებს გვ.5

# ექსკლუზიური ინტერვიუ კახა კახიშვილთან



გვ.4-5

რა შემთხვევაში კონტროლდება „საეჭვო“ ზარები ციხიდან, არსებობს თუ არა ბუნტის საფრთხე, რა სიახლეები ელის პატიმრებს, რატომ თქვა მთავარ პროკურორობაზე უარი და რას მიიჩნევს პენიტენციური სისტემის ყველაზე დიდ მინუსად სასჯელაღსრულების მინისტრი

## „საზოგადოების მხარდაჭერას ვგრძნობ!“

### სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს შეხვდა

---

### ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მოთხოვნისა და ალების ფაქტზე შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დააკავა

## ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატებმა შუამდგომლობა გაითხოვეს!

მოსამართლე გიორგი სულაკაძის წინააღმდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ფოთის საზღვაო ნავსადგურიც მიმართავს გვ.8

## რა კითხვები აქვს ბიზნესმენ თემურ ჭიჭინაძეს ნიკა გვარამიასა და ლაშა ნაცვლიშვილთან



გვ.7

„ჭინერისა“ და ორთაჭალჰესის სკანდალური საქმეების უცნობი დეტალები

შავი სათვალით



# ავჭალელი პენსიონერის წერილი დავით ნარმანიას

ლევან სეფისკვერაძე

ბატონო მერო, მე თქვენ არ მიცნობთ. ან როგორ უნდა მიცნობდეთ, როდესაც თქვენ კოლხეთის მხარგაშლილ ველებზე აღიზარდეთ, მე კი იავარქმნილ ავჭალაში ვიშვი და აქედან ცხვირის გაყოფა, ვაი, რომ ვერა და ვერ მოვახერხე. რომც მომეხერხებინა, რა ხეირი? განა ისევ ყმაწვილკაცი ვარ, რომ სადღაც უცხოეთში ახდენილი ოცნებებისა მჯეროდეს? ქართული ოცნებისა კი, ჰაი, ჰაი, რომ მჯეროდა, თუმცა ეს სხვა ამბავია და ახლა, შეიძლება ითქვას, აზრიც დაკარგა წუწუნმა იმაზე, რაც უკვე აღარ და ველარ შეიცვლება.

დასაწყისისთვის მინდა გითხრათ, რომ თქვენი არათბილისელობა საერთოდ არ მიღრღნის გულს „გივი სიხარულიძეურ“ ჭიით და სულაც არ ვფიქრობ, რომ დედაქალაქის მერი პროვინციაში შობილი კაცი არ შეიძლება იყოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბოლო დროს თქვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკული პასაჟებიდან ძალიან ცოტა თუ იყო ისეთი, რაც მართლაც სათქმელი იყო და მისიართქმა, გამოგიტყდებით და, დიდ უსინდისობად მიმაჩნია. სათქმელი სამწუხაროდ ძალიან ბევრია.

ბატონო მერო, ბოლოს როდის გაიარეთ გარეუბნებში? ანდა გარეუბნები რად გვინდა, როდესაც ვაკის ე.წ. ზედა ქუჩებიც კი საშინელ დღეშია და არაფერი შერლოკ ჰოლმსობა არ სჭირდება იმის გაგებას, რომ ამ ქალაქს პატრონი არ ჰყავს.

იძახდით, მილიონ ხეს დავრგავო. კეთილი დ პატიოსანი. რა ჯობია ხეს – ლამაზია, ჰაერს ასუფთავებს და ქალაქსაც თავის იაერსახეს უნარჩუნებს, მაგრამ სხვას რომ ყველაფერს დავანებოთ თავი, იცით, სად რგავენ ხეებს თქვენი ქვეშევრდომები? იცით, საერთოდ, რა ხდება მერიაში?

მობრძანდით ჩვენთან, ავჭალაში და გაჩვენებთ იმ საავტომობილო ხიდს, რომელიც მდინარე გლდანულაზეა გადებული და ზედ ხიდზე ნაძვისა თუ ფიჭვის ხეები ისე კოხტად იყო დარგული – თქვენი მოწონებული. ზედ ხიდზე! სოფლად გაზრდილმა კაცმა, წესით, უნდა იცოდეთ, ხე ფესვებს რომ იდგამს და თქვენ ის ხალხი ხართ, რომლებიც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს „უფესვოებად“ მოიხსენიებენ და ამ დროს ხიდზე დარგული ეს ოხერი ხეები სირცხვილი არაა?

მე ვიცი, რომ თქვენ და მთელი თქვენი კოალიცია „დიადი ესთეტები“ ხართ და ვერა და ვერ შეიყვარეთ წინა ხელისუფლების მიერ მხოლოდ ფასადებშეღებილი შენობები და უბნები. თავად რას აკეთებთ უკეთესს? მტერმა და დუშმანმა უყურა ფასადებშეუღებავ გლდანსა და ვარკეთილს, მუხიანსა და დიდ დიღომს... არადა, როგორ იძახდით? ქალაქის გენგეგმას გავაკეთებთო, შენობების რეალურ რეკონსტრუქცია-რესტავრაციას დავიწყებთო, უკანონო მშენებლობებს ავლაგმავთო... დავიჯერო დავიწყებასაა ეს ყოველივე მიცემული?

ბატონო დათო, ვიცი, თქვენს შრომის წიგნაკში (მაპატიეთ ამ ერთობ მოძველებული დოკუმენტის ხსენება) არსებული ჩანაწერები მერობით არ დაწყებულა და არც მერობით დამთავრდება და როდესაც მერი აღარ იქნებით, მერე რას აპირებთ? დავიჯერო, თქვენც უკრაინისკენ ან რამე მსგავსი ქვეყნისკენ აიღებთ გეზს? თუ კიდევ უარესი – გიგი?! ტფუი ეშმაკს, ტფუი... მაგრამ ასე თუ გაგრძელდება პირუკუ გადანერწყვება უშველის თქვენი უნიათობით ანდა არცოდნით გაფუჭებულ საქმეებს?

მე რომ თქვენი მტერი ვიყო, გეტყოდით, თქვენ ხართ უნიჭიერესი და დიადი მენეჯერი, რომლის დარიც ამ ქალაქს აქამდე არასოდეს ჰყოლია. ასევე გეტყოდით, რომ თქვენ, ბატონი ბიძინა და თქვენისებრნი, კარგად მართავთ ქვეყანას და რაც ცუდი გვესმის, ყველაფერი ნაციონალების მოგონილი და შემოგდებული თემაა, მაგრამ არ ვარ თქვენი მტერი, ბატონო დათო და არ მინდა, ისე დაამთავროთ, როგორც აქამდე არაერთს დაუმთავრებია. ამიტომ მიდექით, მოდექით, გაინძერით, განაახლეთ გაყინული პროექტები და ეგებ, ჯერ კიდევ არაა გვიან.

ამას თქვენთვის ვამბობ, თორემ ზუსტად ვიცი, მომავალში კიდევ ბევრი ხელისუფლება ჩაიგრიხინებს ჩვენს წინ და ისტორია მათ მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი კრიტერიუმით – გაკეთებული საქმეებით შეაფასებს!

პატივისცემით პენსიონერი გ.კ.

ვერსიანიუსი

# ბიძინა ივანიშვილი: „არასამთავრობოების ზოგიერთი წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოებას აბინძურებს!“



**„აშშ არის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი და ყველანაირად ვცდილობთ, დავარწმუნოთ ჩვენს გულწრფელობაში“,** — ასე უპასუხა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტების შეკითხვას აშშ-ში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც ვაშინგტონი „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთებას გამოთქვამს და აცხადებს, რომ აღნიშნულს კონკრეტული პოლიტიკური შედეგები ექნება.

მედიის წარმომადგენლები მთავრობის ყოფილი თავმჯდომარისგან დაინტერესდნენ, რამდენად შეიძლება „კონკრეტული პოლიტიკური შედეგი“ უშუალოდ მასაც შეეხოს. ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნულს „სიზმარი“ უწოდა.

**„როგორ უნდა შემეხოს? საუბედუროდ, თქვენს სურვილებს სიზმრები შეიძლება დავარქვათ... როგორც უნდა ინატროთ, ვერაფერი შემეხება მე, რადგან განსხვავებით იმ ადამიანებისგან, ვისაც თქვენ იცავთ, კანონს არ ვარღვევ“,** — მიმართა ივანიშვილმა კითხვის ავტორს.

რაც შეეხება უშუალოდ აშშ-ში გაკეთებულ განცხადებას, ყოფილი პრემიერის აზრით, ვაშინგტონის შეშფოთება გადაჭარბებულია.

**„ჩვენ, რა თქმა უნდა, ანგარიშს ვუწევთ აშშ-ს შეშფოთებას. ის არის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი და ყველანაირად ვცდილობთ, დავარწმუნოთ ჩვენს გულწრფელობაში. ვფიქრობ, შეშფოთება არის გადაჭარბებული. საფუძველი ამის კი გახლავთ ისევ ნაციონალური მოძრაობა, რომელიც 9 წლის განმავლობაში ახერხებდა უამრავი მეგობრის შეძენას, თავისი ხელწერის – დიქტატურის ნაცვლად დემოკრატიად გაფორმებას და ა.შ. მე ამას გულწრფელად ვიღებ ყურადღებით. ვალდებულადაც კი ვთვლი თავს და დღევანდელ ხელისუფლებასაც ვფიქრობ იგივე ვალდებულება აქვს, რომ ჩვენ ყველა კითხვას ვუპასუხოთ. ვუპასუხებთ კიდეც და ვაჩვენებთ რეალობას, რომ არაფერიც არ ხდება. მარტივი თემაა, ხალხო — „მაესტრო“ გაქვთ გვერდით, თანაც „მაესტროში“ გაცილებით ჯანსაღი პროცესია — იქ დავობენ მესაკუთრეები, აქ კი დავობს ორი მესაკუთრე, რომელიც ორჯერ გაძარცვეს და გაუგებარი კაცი ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად“,** — განმარტა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა.

ივანიშვილის თქმით, ხელისუფლებას არ სჭირდება „რუსთავი 2“-ში დროებითი მმართველები და არც თავად „რუსთავი 2“, რომ არჩევნებამდე ხელიდან გამოაცალოს ნაციონალურ მოძრაობას.

**„მე მეყოფოდა ჭკუა, რომ ჯერ საერთოდ არ შევხებოდი „რუსთავი 2“-ს და მერე დროებითი მმართველი ასე სწრაფად არ შემეყვანა, ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული“,** — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა, რომლის განმარტებითაც, პოლიტიკურად, მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებები მთავრობას აზიანებს.

**„შექმნილი სიტუაცია არ არის მთავრობისთვის ხელსაყრელი, ეს არის ხელსაყრელი სწორედ ნაციონალური მოძრაობისთვის. როგორ აწიეს თემა, ნახეთ. ოსტატები არიან. განა, არ ვიცოდი, რომ ამას იზამდნენ? ძალიან იოლი დასანახი იყო — ნაციონალური მოძრაობის ხელწერა ხომ კარგად ვიცით, მაგრამ ამავდროულად, რა ვუყოთ დვალს, აქიმიძეს და ხალვაშს? მათ აქვთ კანონიერი უფლება, იდავონ იმაზე, რაც წაართვეს“,** — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

მისივე თქმით, უამრავი უმეცარი განცხადება აქვთ გაკეთებული ევროსაბჭოს, ეუთო-ს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მთავრობამ მათი განცხადებები ყურად არ იღოს.

**„სახალხო პარტია ისეთივე აღშფოთებული იყო არჩევნების დროს, როცა მე „ტელევიზორებს და მაცივრებს ვარიგებდი“, იგივე ევროსაბჭო და ეუთო, რამდენიც გნებავთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უფლება გვაქვს, ყურად არ ვიღოთ მათი განცხადებები. რა თქმა უნდა, დღევანდელ მათ განცხადებებს ჩვენ დიდი ყურადღებით ვუსმენთ, ვპასუხობთ, სადაც საპასუხოა, მაგრამ ის, რასაც სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა თავის დროზე ახერხებდნენ, რომ გარედან უნდა იმართოს ქვეყანა, ქართველი ხალხი არავინ არის და არაფერს ნიშნავს, რას იტყვიან „ისინი“, იმაზე უნდა ვიცეკვოთ, ასე არ იქნება და ვერც იქნება“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის შეფასებითვე, არასამთავრობოების ზოგიერთი წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოებას აბინძურებს და ერთ-ერთ მაგალითად ეკა გიგაური დაასახელა.

**„არასამთავრობოთა დიდი ნაწილი, გიგაურის ხელმძღვანელობით, რომელიც არასამთავრობოდ წარმოგვიდგა და როგორც იქნა, ახლა პოლიტიკაში თავის რეალურ სახეს გვაჩვენებს, ნაციონალური მოძრაობის გაგრძელებაა. კარგი იქნება, დანარჩენი ნაწილიც, სამოქალაქო საზოგადოებას რომ უწოდებს თავის თავს და რეალურად ნაციონალური მოძრაობის სტრუქტურის ნაწილია, თუ თავადაც დაარქმევენ თავის თავს სახელს, როგორც გიგაურმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა“,** — განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს, როცა ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით, არასამთავრობო სექტორის ერთი ნაწილის მიერ საკონსტიტუციო სარჩელის მომზადების თაობაზე დასმულ შეკითხვას უპასუხა.

ყოფილი პრემიერი ყველანაირ უკანონო მოსმენას გამორიცხავს.

**„დღეს გამოვრიცხავ ყველანაირ უკანონო მოსმენას, ისეთი კაცი უდგას სათავეში უშიშროების სამსახურს, რომ ამას არ იკადრებს“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

შეგახსენებთ: ეს განცხადებები ბიძინა ივანიშვილმა გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში სტუმრობისას გააკეთა.

*„ვერსიანიუსი“*

# ფედერიკა მოგერინი: „ემოციების გარდა, არსებობს ჩარჩოები, რომელსაც მნიშვნელობა ენიჭება“



საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ფედერიკა მოგერინის განცხადებით, ქართველებსა და იტალიელებს კარგად ესმით, რას ნიშნავს ემოციები პოლიტიკაში, თუმცა იმედოვნებს, რომ 2016 წლის არჩევნები ჩატარდება მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში.

როგორც მოგერინიმ განაცხადა, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე განხილული იყო შიდაპოლიტიკური სიტუაცია და აღნიშნა, რომ 2016 საარჩევნო წელი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პოლიტიკური თვალსაზრისით.

**„ჩვენ მიმოვიხილეთ პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფის საჭიროება, რომ საარჩევნო პროცესები ჩატარდეს მშვიდად, დემოკრატიულად. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ძალუძს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ჩვენ ვისაუბრეთ საჭიროებაზე, რომ დემოკრატიული პროცესები შენარჩუნდეს მთელი 2016 წლის განმავლობაში. ემოციები პოლიტიკაში ქართველებს და იტალიელებს კარგად ესმით, რას ნიშნავს, მაგრამ ემოციების გარდა, არსებობს ჩარჩოები, რომელსაც მნიშვნელობა ენიჭება — ეს გახლავთ მედიათავისუფლება, პლურალიზმი, კანონის უზენაესობის პატივისცემა, სასამართლოს დამოუკიდებლობა. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მხარემ შეიკაოს თავი ისეთი ქმედებებისგან, რომელიც ნამდვილად არ იქნება სასარგებლო საქართველოს საზოგადოებისთვის და კონსტრუქციულად იმოქმედონ ამ პროცესის ჩარჩოებში“,** — განაცხადა ფედერიკა მოგერინიმ.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილების უფროსი დროებით გაათავისუფლეს



ქალაქ თბილისის პროკურატურამ ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით გამოძიება დაიწყო. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილების უფროსი ლაშა კვირკვაია, 2015 წლის 10 ნოემბრიდან გამოძიების დასრულებამდე, გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

*„ვერსიანიუსი“*

# „თუ ნაციონალები ფეხებქვეშ გაგვებლანდებიან, იქვე დარჩებიან!“




## არსებობს თუ არა პატრიოტთა ალიანსისა და ნაციონალთა აქციების გადაკვეთისა და სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„შიმშილობა 2015“-ის სეზონი გახსნილია: მეოთხე დღეა, მთავრობის კანცელარიასთან პატრიოტთა ალიანსის წევრები — ირმა ინაშვილი, ემზარ კვიციანი, ადა მარშანია, ლევან თედიაშვილი და გიორგი ლომია ორნაწილიანი მოთხოვნით შიმშილობენ: 1. საგარეჯოში არჩევნების გაყალბების გამო, გადადგნენ თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრები — თინა ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი, გაყალბების ფაქტზე კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრას; 2. შეიცვალოს საარჩევნო კოდექსი და კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები. შიმშილობის დაწყებამდე, 8 ნოემბერს, პატრიოტთა ალიანსმა რუსთაველის ძეგლიდან კანცელარიამდე, დიდი ტრანფსარანტით, აქცია-მსვლელობა მოაწყო. ეს ტრანსფარანტი დღესაც კანცელარიის ეზოში ისე უდევთ, რომ პრემიერ-მინისტრმა, მესამე სართულიდან გადმოხედვისას, კარგად დაინახოს.**

როგორც მოშიმშილეები ირწმუნებიან, აქცია უვადო იქნება და მოთხოვნების შესრულებამდე არ დასრულდება. მოშიმშილეები კი ერთმანეთს ჩაენაცვლებიან, რადგან საარჩევნო კოდექსისთვის ჯანმრთელობის შეწირვას არავინ აპირებს. ვინ იცის, რამდენი ასეთი აქცია გვინახავს ქუჩასა თუ პარლამენტის დარბაზებში, მაგრამ ოპოზიციისთვის აშკარად ცუდი დრო მოვიდა — თუკი ადრე ახალმა მემარჯვენეებმა პარლამენტის მაშინდელი სპიკერის, ნინო ბურჯანაძის ოთახთან 16 დღე სწორედ საარჩევნო მოთხოვნებით იშიმშილეს და მისგან პლედი და ერთი-ორი თბილი სიტყვაც ვერ მიიღეს, დღეს ღია ცისქვეშ, მჯდომარე აქციის მონაწილეებს, თურმე, კარვის კი არა, დიდი ქოლგის გაშლაც ეკრძალებათ. შიმშილობის აქციები იყო 2009 წელსაც, „კარვების ქალაქში“, 2011-შიც, მაისის ცნობილი აქციების დროს, მაგრამ ყველა მათგანი უშედეგოდ დასრულდა. ისე, დღევანდელ მოშიმშილეებს ბრალდებათა მთავარი ადრესატი, მინისტრი თინა ხიდაშელი სკეპტიკურად გამოეხმაურა, სასამართლოში შეტანილი საარჩევნო დავების დასრულებამდე მაინც დაეცადათ და აქციები მერე დაეწყოთო. რა მიზანი აქვს ისეთ ბრძოლას, რომელიც წინასწარგანწირულია დამარცხებისთვის, რისი იმედი აქვს პატრიოტთა ალიანსს და რატომ მიმართავს პროტესტის ამ ერთ-ერთ უკიდურეს ფორმას — ეს კითხვები კანცელარიასთან მჯდომ **ადა მარშანიას** დავუსვით. **„როდემდე უნდა იყოს ბრძოლის ყველა ხერხი და მეთოდი უშედეგო, როდემდე უნდა ვიაროთ ტრაგიკულ, მოჯადოებულ წრეზე და როდემდე ვითმინოთ, როგორ იყენებს ყველა ახალი ხელისუფლება ყველა ბერკეტს, კანონიერ და უკანონო წესებს მთავრობასა და პარლამენტში მისთვის სასურველი ხალხის დასასმელად? მხოლოდ ჩვენი ბრძოლისა და ჩვენი თავის იმედი გვაქვს. რაკი დავიწყეთ, ამ საქმეს ბოლომდე მივყვებით და მალე ამ ბრძოლაში სხვა მეთოდებიც შევა — შიმშილობის არეალი გაფართოვდება და „ქართულ ოცნებას“ ვუჩვენებთ, რას ნიშნავს ნამდვილი ბრძოლა. „ოცნების“ ნამუსზე აგდების იმედი არ გვაქვს, უბრალოდ, გვინდა, ხელისუფლების ჩვენი ძალა ვაჩვენოთ. „დავიღალეთ და დავიშალეთ“ აღარ იქნება! მინისტრები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღიძრას. ვთქვათ, მოხდა სასწაული, საარჩევნო დავები ირმამ მოიგო და დეპუტატი გახდა, ამის მიუხედავად, 2016 წლის არჩევნების ბედი ხომ უკვე გასაგებია?! „ოცნებას“ 2020 წლამდე ტოტალური კონტროლის დაწესება სურს, რათა მერე, შეცვლილი კოდექსითაც კი გაიმარჯვოს. ეს ხელისუფლება უკვე აღარ ვარგა და ერთი წლის შემდეგ, აღარ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში. ამ შუალედურმა არჩევნებმა ქვეყანაში არსებული ტრაგიკული ვითარება ბოლომდე გააშიშვლა და ძალიან კარგი ვქენით, ბოიკოტი რომ არ გამოვაცხადეთ. უკანონო კანონების შეცვლა თუ არ გვინდა, აბა, რა გვინდა, ისევ რევოლუციები და გადატრიალებები, რომ მერე გვითხრან, უკანონოდ მოიქეცითო? ვიცი, ბევრს სკეპტიკური განწყობა აქვს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ წინა წლებში ოპოზიციის აქციებს ღალატი ღუპავდა, საქმე ბოლომდე არავის მიჰყავდა. პოლიტიკური სპექტრი არ უვარგა საქართველოს... ვიდრე გავუძლებთ, ჩვენ ვიშიმშილებთ, მერე შეგვცვლიან. სხვა ვინ, თუ არა ჩვენ?!“**

შიმშილობაში კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანიც ჩაება. ალბათ, მისი პოლიტიკური ბეგრაუნდი ყველასთვის ცნობილია და ამიტომაც გაჩნდა კითხვები, განსაკუთრებით, ოპონენტთა ბანაკიდან: რისთვის ემზადება კვიციანი? არის თუ არა შიმშილობის დაწყება, წინასაარჩევნოდ, პროცესების ქუჩაში გადატანისა და ესკალაციის მცდელობა და როგორია პატრიოტთა ალიანსის გეგმა „ბე“, თუკი შიმშილობის პერმანენტულმა აქციებმა არ გაამართლა, ამ კითხვებით **ემზარ კვიციანს** მივმართეთ: **„შიმშილობა შედეგს აუცილებლად გამოიღებს. ის წინა, წარუმატებელი აქციები ჩვენ არ ჩაგვიტარებია და ამიტომაც დასრულდა უშედეგოდ. პატრიოტთა ალიანსში გაწევრიანებული განსხვავებული ხალხი ვართ და ეროვნულ, პატრიოტულ გზას მივყვებით. დესტაბილიზაცია რომ მინდოდეს, აქ რატომ ვიჯდებოდი და რა ჯანდაბად ვიშიმშილებდი? ეგ გეგმა რომ გვქონოდა, 8 ნოემბერს, როცა ერთ დაძახილზე ქუჩაში 20 000 კაცი გამოვიყვანეთ, დესტაბილიზაციას რატომ ვერ მოვაწყობდით? ნახეთ, აქ როგორ ვშიმშილობთ, სუფთად და კოხტად, თორემ გამოვიდოდით „მოლოტოვის კოქტეილებით“ და არეულობას მოვაწყობდით, მაგრამ ეს არ გვსურს! აი, ასე, სუფთად გვინდა გამარჯვება. რესპუბლიკელებო ხომ სულ დემოკრატიაზე გვმოძღვრავდნენ, დღეს კი ჩვენ ვიცავთ დემოკრატიას რესპუბლიკელებისგან“.**

მაშინ, როცა ქალაქში დაძაბულობის კიდევ ერთი კერა არსებობს, რომელსაც მოწინააღმდეგე ბანაკი „რუსთავი 2“-ის ეზოში ამაგრებს, რამდენად მართებულია, მეორე, პერმანენტული აქციის გამართვა და არსებობს თუ არა საფრთხე, რომ ეს ორი ბანაკი — პატრიოტთა ალიანსი და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთს ფიზიკურადაც დაუპირისპირდეს? მით უმეტეს, არსებობს 90-იანი წლების გამოცდილება, როცა ქალაქში რამდენიმე ძალა ერთდროულად თარეშობდა და დღემდე სადავოა, პირველად ვინ გაისროლა. მოკლედ, მიდის თუ არა პოლიტიკური პროცესი სამოქალაქო არეულობისკენ? — ამ საფრთხეს ემზარ კვიციანი სერიოზულად არ უყურებს, თუმცა აცხადებს, რომ ვინც ფეხქვეშ გაებლანდება, იქვე დარჩება: **„ახლა „რუსთავი 2“-ის „დეყალბიზაციის“ პროცესი მიდის. ეს არხი არ უნდა დაიხუროს, მაგრამ დღეს რა სიყალბესაც ანთხევს, ასეც არ შეიძლება. მართლა გაფუჭებული და გატუტუცებული ტელევიზიაა, თუმცა ეს აქციები არ გადაიკვეთება, რადგან ისინი არავინ არიან და არაფერს წარმოადგენენ. ჩვენ მათ არ ვამჩნევთ და არ ვიმჩნევთ, მაგრამ თუ სადმე ფეხებქვეშ გაგვებლანდებიან, იქვე, ფეხებქვეშ დარჩებიან“.**

პროვოკაციებს საფრთხეს ვერც ამ აქციის და პატრიოტთა ალიანსის ლიდერი **ირმა ინაშვილი** ხედავს, თუმცა გართულების შემთხვევაში, კანცელარიასთან მობილიზებული პოლიციის იმედი აქვს. აცხადებს, რომ პირველად შიმშილობს და პროტესტის ამ უკიდურესი ფორმისთვის თვით მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც არ მიუმართავს, დღეს კი, ჩვენს ირგვლივ ყრუ კედელია, ჩემს წინააღმდეგ შუალედურ არჩევნებში ლამის ტანკი გამოიყვანეს, ამიტომ ამ მარაზმს ქვეყანაში, ერთხელ და სამუდამოდ, დავასრულებთო. ინაშვილი ხელისუფლებისგან გარანტიებს ითხოვს, რომ საარჩევნო კოდექსი არა 2020, არამედ 2016 წლამდე შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკოსი ქალბატონი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ასევე პერმანენტული შიმშილობის დაწყებით იმუქრება: **„ბავშვი არ ვარ და მესმის, ერთჯერადი მოთხოვნით მინისტრებს არ გადააყენებენ, მაგრამ ხელისუფლებას ვარწმუნებ, ეს მოთხოვნები მთელ საქართველოს მოედება. შიმშილობა უკვე დაიწყო საგარეჯოში, მალე ბათუმიდან, ზუგდიდიდან, მარტვილიდანაც შემოგვიერთდებიან. ერთ დღეში ვერა, მაგრამ ცოტა ხანში იმასაც მივაღწევთ, რომ არჩევნების გამყალბებელ მინისტრებს გადააყენებენ. მშვიდობიანი გზებისა და მეთოდების გამოყენების მომხრე ვართ და ერთი მხრივ, სამართლებრივ, მეორე მხრივ, სამოქალაქო აქტივობის ხერხებს მივმართავთ. ვიცი, არავინ ელოდა, რომ 8 ნოემბრის აქციაზე ამდენი ხალხი მოვიდოდა, თუმცა ამ მასშტაბური მანიფესტაციის მონაწილე ხალხმა ერთად უთხრა უარი გამყალბებელ ხელისუფლებას. ახლა უკვე ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რა რეაგირება ექნება და თუ რეაგირება საერთოდ არ ექნება, თავის თავს დააბრალოს. ხელისუფლება, რომელიც თავისი ხალხისგან იზოლაციაში ექცევა, ძალიან ცუდად ამთავრებს და ეს უკვე გვინახავს. რაც შეეხება პარალელურ აქციას, არ მგონია, მათთან გადავიკვეთოთ, რადგან ეს ორი სრულიად სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციაა, თანაც, ვნახეთ, ნაცების ორგანიზებულ კონცერტზე 300 კაცი ძლივს მივიდა. ნაციონალები იშლებიან და მათ ამ გზაზე წარმატებას ვუსურვებთ, თუმცა აქ რომც მოვიდნენ, აგერ, პოლიცია დგას და დაარეგულიროს ვითარება, რომ შეხლა-შემოხლა არ მოხდეს. ჩვენ აქ ყველა წესისა და კანონის დაცვით ვდგავართ და არალეგიტიმურსაც არაფერს ვითხოვთ, ამიტომ, თუ ვინმე მოვა და რამეს დააშავებს, პატრულმა მიხედოს და დააკავოს“.**

მოშიმშილეებთან სოლიდარობის გამოსახატად ჯერჯერობით მათი მხარდამჭერების მცირე ნაწილი მიდის. ორი დღის წინ კი აქციას სოლიდარობა წარსულში ამავე თემაზე მოშიმშილე მამუკა კაციტაძემ გამოუცხადა. სხვათა შორის, კაციტაძემ და ინტერპარტიული ჯგუფის სხვა წევრებმა 200 000 ხელმოწერა უკვე შეაგროვეს და პარლამენტში სწორედ ამ დღეებში შეიტანეს, საარჩევნო კანონმდებლობის გადახედვის მოთხოვნით. ჰოდა, „ოცნებას“ ერთი ვადის მშვიდობიანად ჩასამთავრებლად დაფიქრება მართებს, რადგან ქალაქში პერმანენტული აქციების არაერთი საპროტესტო კერაა, რადიკალური თუ „ზომიერი“ ძალები კი შიმშილობენ და ხელმოწერებს აგროვებენ.

ვერსიანიუსი

## ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე რომან ფუტკარაძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ რომან ფუტკარაძემ შუახევის რაიონში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 2 ჰა მიწის ნაკვეთის კანონიერი პროცედურების გავლის გარეშე სარგებლობაში გადაცემისა და მფარველობის გაწევის სანაცვლოდ საქართველოს მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვა 10 000 აშშ დოლარი.

რომან ფუტკარაძემ მოქალაქისაგან სრულად აიღო ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხა, რა დროსაც იგი დააკავეს.

გამოძიება ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის მე-2 ნაწილით). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

*„ვერსიანიუსი“*

# კახა კახიშვილი: „საზოგადოების მხარდაჭერას ვგრძნობ!“



## რა შემთხვევაში კონტროლდება „საქძვო“ ზარები ციხიდან, არსებობს თუ არა ბუნტის საფრთხე, რა სიახლეები ელის პატიმრებს, რატომ თქვა მთავარ პროკურორობაზე უარი და რას მიიჩნევს პენიტენციური სისტემის ყველაზე დიდ მინუსად სასჯელაღსრულების მინისტრი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**2012 წელს, ისედაც ყველაზე ჩაკეტილ პენიტენციურ სისტემას, ცნობილი „ციხის კადრების“ გამო, სახელი საბოლოოდ გაუტყდა. ამ შელახული იმიჯის აღდგენას წლები სჭირდება, რასაც „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში სასჯელაღსრულების მინისტრი კახა კახიშვილიც ადასტურებს და აცხადებს, ყველაფრის აშენება ნულიდან კი არა, მინუსებიდან დავიწყეთო. რა არის დღეს ციხეების მთავარი მინუსი, დიდი ამნისტიისა და გატარებული რეფორმების მიუხედავად, რატომ რჩება პრობლემად ციხის მართვა, რამდენად რეალურია საუბარი იმაზე, რომ კრიმინალური ავტორიტეტები თუ ყოფილი მაღალჩინოსნები ქვეყანაში ვითარებას ციხის შიგნიდანაც ცვლიან, აისახება თუ არა პოლიტიკური დაძაბულობა საპყრობილეებზე და რატომ უფრთხის მინისტრი პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას — „ვერსიის“ რესპოდენტი პენიტენციური სისტემის პირველი პირი კახა კახიშვილია, რომელიც „რუსთავი 2“-ში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს, მედიაში მის წინააღმდეგ გავრცელებულ ბრალდებასაც პასუხობს და იმ ცვლილებებზეც გვიამბობს, რამაც შესაძლოა, პატიმრების ცხოვრება შეცვალოს.**

**— ბატონო კახა, საუბარი კვირის აქტუალური თემით, „რუსთავი 2“-ით დავიწყოთ. პირველ რიგში, როგორც იურისტი და ამასთან, როგორც სახელისუფლო გუნდის წევრი, არხის გარშემო მიმდინარე დავას როგორ აფასებთ?**

— ვცდილობ, ამ საკითხზე კონკრეტული კომენტარი არ გავაკეთო, რადგან ყველა თემის პოლიტიკურ ჭრილში გადატანა არასწორად მიმაჩნია. არ შევდივარ პოლემიკაში, რომელი სასამართლოს გადაწყვეტილება იყო სწორი და საფუძვლიანი და რომელი — არა. ჩემთვის ორი მთავარი პოსტულატი არსებობს: სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა და სასამართლოს გადაწყვეტილების პატივისცემა. შეიძლება, ვინმეს მოეჩვენოს, რომ საკონსტიტუციო ან საერთო სასამართლოების გადაწყვეტილება ნაჩქარევია. ამაზე მსჯელობა და აზრის გამოთქმა ერთია, კონკრეტული გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა კი, მეორე. ისიც აბსურდული იქნება, გამოვაცხადოთ, ვისაც ქარხანა წაგართვეს, იდავეთ და დაიბრუნეთ, ვისაც ტელევიზია — ჯერ ხმა არ ამოიღოთ, მოიცადეთო. ხვალ რომ ვინმემ ვინმეს „რუსთავი 2“ უკანონოდ წაართვას, ხმა არც ამაზე ამოვიღოთ. „რუსთავი 2“-ზე მიმდინარე დავა არაჯანსაღი მაშინ იქნებოდა, თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებით, არხს გათიშავდნენ და ჟურნალისტებს შინ გაუშვებდნენ ან ფორმატის შეცვლას აიძულებდნენ, თუმცა ასე არ ხდება. ამიტომ შეფასებისას, ამოსავალი წერტილი ის არ უნდა იყოს, რადგან საქმე ტელევიზიას ეხება, სარჩელი საერთოდ არ შეიტანოთ და არ იდავოთო. თუ ასეა, მაშინ ძმებმა ყარამანაშვილებმაც განაცხადეს, სასამართლოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთო და რა ვქნათ, გასაჩივრებაში ხელი შევუშალოთ თუ ბრძოლა მარტო ერთი მხარისთვის არ შეიძლება და მეორესთვის დაშვებულია? ამიტომ მთავარია, არსებობდეს გარანტიები, რომ არხი მაუწყებლობის ფორმატს მთლიანად შეინარჩუნებს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა არავის დარჩეს განცდა, რომ ეს პოლიტიკური პროცესია.

**— დიახ, ეს პოლიტიკური პროცესია.**

— სწორედ ამიტომ ვამბობ: უნდა გაბათილდეს შიში, რომ ყველაფერ ამის უკან, შესაძლოა, არხის სარედაქციო პოლიტიკაში ცენზურის შეტანის მცდელობა იდგეს.

**— ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან უსიამოვნება თქვენც შეგემთხვათ, რომელმაც დაწერა, რომ კაბინეტისთვის ნახევარი მილიონის ღირებულების ავეჯი შეიძინეთ. მართალია, ეს სკანდალი არ შედგა, მაგრამ როგორ ფიქრობთ, „ბრალდება“ საიდან და რა მიზნით წამოვიდა?**

— სამწუხაროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სოციალურ ქსელში ერთ ბლოგს დაწერენ და ამბობენ, ჟურნალისტები ვართო. ამ ლოგიკით, მოსახლეობის 80% ჟურნალისტი გამოდის და ოთხმოცივე პროცენტს უფლება აქვს, სიტყვის თავისუფლების სახელით, არასწორი ინფორმაციები ავრცელოს. ამ კონკრეტული ბრალდების ავტორები იმაზეც კი არ დაფიქრდნენ, ფიზიკურად როგორ უნდა ჩამეტია ერთ ოთახში 500 000 ლარის ღირებულების ავეჯი ან, როცა რაღაც დოკუმენტს აქვეყნებ, როგორც მინიმუმ, შენ მაინც ხომ უნდა წაიკითხო?! რეალურად, ამ ბრალდების გასამაგრებლად, მოტანილია სატენდერო დოკუმენტი, რომელიც ახალი, სამსართულიანი ადმინისტრაციული შენობის გახსნას ეხება და იქ 5 დეპარტამენტისთვის განკუთვნილ საოფისე ინფრასტრუქტურაზეა საუბარი. თან თანხაც არასწორად იყო მითითებული, რადგან შიდასაოფისე ინფრასტრუქტურისთვის 140 000-მდე ლარი დაიხარჯა, დანარჩენი კი სხვადასხვა დაწესებულების ეზოსთვის სკამებისა და მაგიდების შესაძენად გადანაწილდა. ჯერ ვფიქრობდი, ამ ბრალდებას საერთოდ არ ვუპასუხებ-მეთქი, მაგრამ არ მინდა, ჩემს მიმართ თუნდაც 2 და 3 ადამიანს ჰქონდეს კითხვა, მით უმეტეს, არც მე და არც ჩემს წინამორბედს, საკუთარი კაბინეტისთვის „დივან-კრესლოები“ ნამდვილად არ შეგვიძენია. შემიძლია, ოთახი დაგათვალიერებინოთ და განახოთ, რომ ჯაკუზებითა და სხვა ფეშენმოსასვენებლებით აღჭურვილი სულაც არაა. ამიტომ ამ ინფორმაციის გავრცელების მიზანი, ალბათ, ჩემი დისკრედიტება იყო.

**— გაბრაზებამ გაგიარათ თუ საინფორმაციო სააგენტოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას ისევ აპირებთ?**

— ეს განცხადება ძალაში რჩება. მოკლე დროში სარჩელს იმ პირების წინააღმდეგ შევიტანთ, ვინც არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. მათ გადამოწმების საშუალება ჰქონდათ, მაგრამ შეგნებულად გაავრცელეს და ჩვენი ახსნა-განმარტების მოსმენაც არ ისურვეს. თუ შესაძლებელი იქნება, მოვითხოვთ, ავტორებმა ბოდიში იმდენჯერ მოიხადონ, რამდენმა ადამიანმაც ნახა და გააზიარა ეს სტატია, თუმცა ეს საქმე ჩვენი სამინისტროს მთავარი პრიორიტეტი არ არის.

**— ჩანს, თქვენი პრიორიტეტი არც მთავარი პროკურორის პოსტის დაკავებაა, რადგან საკუთარი კანდიდატურა მოხსენით. ვისგან მიიღეთ ეს შეთავაზება და რატომ არ გსურთ პროკურორობა, როცა ამას, პრაქტიკულად, ხალხი ითხოვს?**

— სისხლის სამართლისა და საარჩევნო საკითხების სპეციალისტი ვარ და ამ კუთხით მსჯელობა მუდმივად მიწევდა. შესაძლოა, ხალხს განცდა გაუჩნდა, რომ რაკი ამ სფეროებზე ვსაუბრობდი, კონკრეტული პოსტის დაკავება მსურდა, ან ბევრმა ადამიანმა გადაწყვიტა, აი, იმ პოსტზე ივარგებსო. არც მაშინ და არც დღეს, მთავარი პროკურორობის სურვილი არ მქონია. ახლა ძალიან სერიოზული სამინისტრო მაბარია და პასუხს ამ უწყების გამართულ მუშაობაზე ვაგებ. ჩემი აზრით, აბსურდული იქნებოდა, მოქმედ მინისტრს რაღაც არჩევნებში დაეწყო მონაწილეობა. ვფიქრობ, ამ სამინისტროში 2012 წლიდან დაწყებული რეფორმები ბოლომდე უნდა მივიდეს, ამიტომ როცა ჩემი გვარი გაჟღერდა, განცხადებაც გავაკეთე და ჩემი კანდიდატურაც მოვხსენი, რადგან ამ თემის განვრცობა არ მსურდა. ზუსტად დღესაც არ ვიცი, რომელმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წარადგინა ჩემი კანდიდატურა, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ სახელისუფლო გუნდში ამაზე არავისთან მისაუბრია, არც შეთავაზება მიმიღია და მით უმეტეს, არც კონსულტაციები გაგვივლია. ჩემთვის ნომერპირველი ამოცანა სხვა სავარძლის პოვნა კი არა, იმ ნდობის გამართლებაა, რაც ამ პოსტზე გამომიცხადეს.

**— დავაკონკრეტოთ: სხვა უწყებაში გადასვლა არ გინდათ თუ მთავარი პროკურორის სავარძელი?**

— ვარ იქ, სადაც მთხოვეს და სადაც საზოგადოების მხარდაჭერას ვგრძნობ. ჩემთვის უმთავრესია, ეს ნდობა და მხარდაჭერა გავამართლო.

**— ამ დღეებში გავრცელებული ცნობილი აუდიოჩანაწერებიდან ერთ-ერთში, ერთმანეთს დათა ახალაია და ბაჩო ახალაიას ადვოკატი, რომეო საჯაია ესაუბრებიან. ეს საკმარისი აღმოჩნდა ვარაუდისთვის, რომ ექსმინისტრი რევოლუციურ პროცესებს ციხიდან ეხმარება. ამ ვარაუდს საფუძველი აქვს თუ არა და ციხის ადმინისტრაცია მსგავსი მოულოდნელობებისთვის მზადაა?**

— ზოგადად, ვერაფერს გამოვრიცხავთ. პირდაპირ გეტყვით, თან, პენიტენციური სისტემა ნულიდან კი არა, მინუსიდან ჩავიბარეთ. პირველ ეტაპზე, სწორედ მინუსიდან ამოსვლა იყო საჭირო, შემდეგ კი ისეთი სიღრმისეული რეფორმების გატარება, რომელთა შეცვლა და შეჩერება, მომავალი მინისტრისა და მთავრობის ხასიათზე არ იქნებოდა დამოკიდებული. არ ვიცით, ვის რა გეგმები ექნება, მოუნდება თუ არა ოდესმე ამ სისტემაში „სადამსჯელო ბანაკების“ მოწყობა და ა.შ. ამიტომაა საჭირო ძირეული ცვლილებები, რაც პატიმრებისა და თანამშრომლების ურთიერთობას ისეააწყობს, რომ ერთ და ორ დღეში ვერავინ შეცვალოს.

**ციხე ისეთი სისტემაა, „ჩეპეებისგან“ დაზღვეული არასოდეს ხარ. როცა 10 200 პატიმარი და 4 700 თანამშრომელი გყავს და ისეთი ღია ტიპის დაწესებულებები გაქვს, სადაც 2 000 ადამიანი, დილიდან საღამომდე, ერთად ცხოვრობს, მხოლოდ სისტემაში ჩაუხედავმა პირმა შეიძლება განაცხადოს, ნამდვილად არაფერი მოხდებაო. 5-კაციან ოჯახში ხდება რაღაც და მოულოდნელობის საფრთხე 2 000 განსხვავებულ ადამიანში მუდმივად არსებობს.**

მეორე მხრივ, ციხე სანატორიუმი არ არის და რომც იყოს, სანატორიუმის დამსვენებლებსა და პერსონალსაც თავისი უფლებები და მოვალეობები აკისრია.

**— ერთი სიტყვით, არის თუ არა „მატროსოვზე“ იმის საშუალება, გარკვეული პროცესები, თუნდაც სატელეფონო საუბრებით დაიგეგმოს და ამის თავიდან ასაცილებლად რა მექანიზმები გაქვთ?**

— „მატროსოვზე“ მყოფ ყველა პატიმარს, მათ შორის, ახალაიასაც, ამ ციხის რეჟიმის წესებიდან გამომდინარე, ტელეფონით სარგებლობის უფლება აქვს და პირდაპირ ვამბობ, იქ ე.წ. ქუჩის ტელეფონებია, რომლებიც არ კონტროლდება. წინა მინისტრის დროს, ჩვენს მიერ გატანილი რეფორმის ფარგლებში, ეს პრობლემაც გავითვალისწინეთ და გადმოვიტანეთ ევროპული სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, მაღალი რისკის დაწესებულებებში, მომავალში, ტელეფონები გაკონტროლდება. დღეს კი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ციხეებში ტელეფონები არათუ არ ისმინება, არამედ, ამის ტექნიკური საშუალებაც არ გვაქვს. როგორც ბაჩო ახალაიას, ისე სხვა პატიმრებს, კანონით დადგენილი სატელეფონო საუბრების ლიმიტი აქვთ და ამ ლიმიტით სარგებლობენ. კრიმინალური სუბკულტურის მიმდევრობისა თუ პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ყველა პატიმარი სარგებლობს კანონით გაწერილი უფლებით.

**— ანუ მსგავსი ჩანაწერები თქვენთვის ეჭვის საფუძველს არ წარმოადგენს?**

— თუ კონკრეტული მასალა გვექნება ხელთ, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი ნიშნები დადგინდება, გამოძიებაც დაიწყება და ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, სასამართლოს მივმართავ, რათა მოსმენების ნებართვა მივიღოთ. ამ პროცედურების გვერდისავლით, ეს არ მოხდება. გარდა ამისა, დღეს არ გვაქვს საფუძველი, კონკრეტულად „მატროსოვის“ პატიმრების მიმართ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა დავიწყოთ.

**— „მატროსოვს“ თავი რომ დავანებოთ, რამდენჯერაც ქვეყანაში ფონი იძაბება, იმდენჯერ იწყება საუბარი, რომ ციხეებში ბუნტი იგეგმება. დღეს, როცა პოლიტიკურ ძალებს შორის მწვავე დაპირისპირებაა, ბუნტის საფრთხე არსებობს?**

— ეს თემა მუდმივად აქტუალურია, რამდენიმე მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე, რომ თითქოს ციხის ბუნტი იგეგმებოდა, გამოძიება დაიწყო. ვერ გეტყვით, დღეს ეს საქმე რა ეტაპზეა, მაგრამ არცერთ განცხადებას შეუმჩნეველს არ დავტოვებთ. შესაძლოა, ასეთი განცხადებები პანიკის დათესვის ან პროცესების ესკალაციის მიზნით შეგნებულადაც კეთდებოდეს. ჩვენ ამ სისტემის სტაბილურობა უნდა უზრუნველვყოთ და ამიტომაც, თანამშრომლებს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრობა აეკრძალათ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირი ვარ, ასეთ განცხადებებს არც მე ვაკეთებ, რადგან არ მინდა, ჩემს თანამშრომლებს, ასე ვთქვათ, ტონი მივცე. ამ სისტემაში სასჯელს სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნების ადამიანი იხდის, ამიტომ მუდმივად ერთ პარტიასა და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე საუბარი არ მინდა, გარკვეული დაძაბულობის მიზეზი გახდეს. ვცდილობთ, სისტემა ბოლომდე დეპოლიტიზებული იყოს.

**ხშირად ამბობენ, რომ რომელიღაც პოლიტიკური პარტია ციხეებში არეულობას გეგმავს. არავინ იცის, რომელი თანამშრომელი რომელი პარტიის მხარდამჭერია და არც იმისგან ვართ დაზღვეულნი, რომ ჩვენი პერსონალი ვინმეს არ შეეკვრება. იქეთ „კანონიერი ქურდები“ ცდილობენ გავლენის გაძლიერებას, აქეთ — ეს პოლიტიკური ფონი და უბრალოდ, შეუძლებელია, ამ სისტემაში რაღაც გამორიცხო. ისიც აბსურდია, თითო განცხადებაზე ცალკე ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოები ვაწარმოოთ. გვაქვს სერიოზული ანალიტიკური ცენტრი, ოპერატიულ-სამძებრო სამმართველო და ყველა ინფორმაცია საფუძვლიანად მოწმდება.**

**— ამ სისტემის „გაადამიანურების“ მცდელობაზე პატიმარი გოგონას ტელეშოუში ხილვაც მეტყველებს. შინაპატიმრობისთვის განკუთვნილი სამაჯურებიც შეგიძენიათ და როგორც ცნობილია, პატიმრების დასაქმების პროგრამაც მალე ამოქმედდება. რამდენად რეალურია ეს ცვლილებები და შესაბამის საკანონმდებლო ბაზაზე მუშაობას როდის დაასრულებთ?**

*დასასრული მე-5 გვერდზე*

# 2016 წლიდან ეროვნული გამოცდები ელექტრონული ფორმატით ჩატარდება

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

**2016 წლიდან ეროვნული გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდება, 2017 წლიდან კი მთლიანად ელექტრონულ ფორმატზე გადავა. როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, მაია მიმინოშვილმა განაცხადა, ამ ეტაპზე ფორმატის ცვლილება მხოლოდ ტესტის ელექტრონულ მიწოდებას ითვალისწინებს და არა — პასუხების ფურცელს, სადაც აბიტურიენტი უშუალოდ ტექსტზე მუშაობს. აღნიშნულთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია, თუმცა დეტალები დეკემბერში, საკითხის აპრობაციის დასრულების შემდეგ დაზუსტდება. აპრობაციის მიზანი ტექნიკური უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიების პილოტირებაა: რომელიმე საგამოცდო ქალაქში ერთი საგამოცდო ცენტრი შეირჩევა, მოეწყობა საგამოცდო სექტორები, პროცესის სრული იმიტაცია მოხდება და ე.წ. ექსპერიმენტის მონაწილეები გამოცდას ერთ რომელიმე საგანში ჩააბარებენ. იმიტაციაში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეეძლება როგორც პედაგოგებს, ასევე აბიტურიენტებს. ტესტების გადამოწმება და შედეგების დათვლაც მათთან ერთად მოხდება. ახალ ელექტრონულ ფორმატზე გადასვლასთან დაკავშირებით, ინფორმაციის დასაზუსტებლად, „ვერსიამ“ მაია მიმინოშვილს რამდენიმე კითხვით მიმართა.**




**— ქალბატონო მაია, აბიტურიენტების გარდა, ელექტრონულ გამოცდებს სხვა აპლიკანტებიც ჩააბარებენ?**

— ელექტრონული ფორმატით გამოცდების ჩაბარება აბსოლუტურად ყველას ეხება — პედაგოგებს, პედაგოგობის მსურველებს, სტუდენტებს, ასევე მათ, ვინც საგრანტო კონკურსში მონაწილეობს და თავისთავად, აბიტურიენტებს.

**— გამოცდების ჩაბარების ელექტრონული ფორმატი საბოლოოდ რომელი წლიდან ამოქმედდება?**

— არ შეიძლება, ასეთი სიახლე აპლიკანტებს უცბად შესთავაზო... ნაბეჭდი და ელექტრონული ტექსტური ბუკლეტები, ფორმის და არა შინაარსის თვალსაზრისით, ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგალითად, ტექსტურ ბუკლეტში რამდენიმე დავალება ერთ გვერდზეა და ვცდილობდით, გვერდები მაქსიმალურად აგვეთვისებინა, რათა ბუკლეტი სქელი არ ყოფილიყო. ამ შემთხვევაში კი, სრულიად თავისუფლები ვართ — შეგვიძლია, შეუზღუდავი რაოდენობის გვერდი გამოვიყენოთ და თითო დავალება თითო გვერდზე განვათავსოთ. ასევე, მაქსიმალურად გამოვიყენებთ ფერებსაც, რომლითაც აქამდე შეზღუდულები ვიყავით.

რაც შეეხება მთლიანად ელექტრონულ ფორმატზე გადასვლას, ეს, ბუნებრივია, ნელ-ნელა უნდა გავაკეთოთ — როცა დარწმუნებულები ვიქნებით, აბიტურიენტებს, პედაგოგებსა თუ აპლიკანტებს პრობლემა არ ექნებათ, რომ დავალებას პასუხი ელექტრონული ფორმით გასცენ. საამისოდ ყველა ერთად უნდა მოვემზადოთ... პირველი ეტაპი მხოლოდ ეკრანიდან დავალების წაკითხვა იქნება და აპლიკანტს დამატებითი მანიპულაცია არ მოუწევს. ექნება პასუხების ფურცელი, სადაც პასუხს შეიტანს და ასევე ექნება შავი სამუშაოსთვის განკუთვნილი ფურცელი.

**— ელექტრონული ვერსიის საგამოცდო საკითხები თუნდაც ბაზის გატეხვისგან დაცული რამდენად იქნება?**

— ამ მიმართულებით ჩვენმა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა ინტენსიურად იმუშავა და სიმართლე გითხრათ, დეკემბერში, პირველ რიგში, იმის გამოცდა გვინდა, რამდენად დაცული იქნება ელექტრონული ვერსია. საუბარი იმაზეა, რომ გამოცდა 9 საათზე იწყება და აპლიკანტი ზუსტად 9 საათზე მოახერხებს, გახსნას შესაბამისი ელექტრონული ფორმატი. დეკემბერში ამის აპრობაციაა დაგეგმილი და არა შინაარსობრივი მხარის. მაქსიმალურად უნდა ვიყოთ კონცენტრირებულნი და ორიენტირებულნი, რომ ვიდრე საგამოცდო ცენტრში ელექტრონული ფორმა გაიხსნება, მაქსიმალურად დაცული იყოს.

**მაია მიმინოშვილის თქმით, კომპიუტერზე მორგებული ტესტის ნიმუშები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ნოემბრის ბოლოს გამოქვეყნდება. რაც შეეხება გამოსაშვებ გამოცდებს, ამ მიმართულებით ცვლილება არაა — საატესტატო გამოცდებს მოსწავლეები ჩვეულებრივი ფორმატით, სასწავლო წლის ბოლოს, აპრობირებული პრინციპით ჩააბარებენ.**



# კახა კახიშვილი: „საზოგადოების მხარდაჭერას ვგრძნობ!“

*მე-4 გვერდიდან*

— 3 წლის წინ დაწყებული რეფორმის ფარგლებში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი საერთოდ გაუქმდა, რადგან ეს იყო „სახელმწიფო სახელმწიფოში“ და მისი მართვის ბერკეტები არ არსებობდა. ამისთვის, ცვლილება 40 კანონში შევიდა და ეს პროცესი გრძელდება. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, კვლავ ბევრი ცვლილება შედის საკანონმდებლო აქტებში, რაც ჩვენი ერთიანი ხედვაა და არა — მხოლოდ კახიშვილის დამსახურება.

რაც შეეხება სამაჯურებს, 200 ერთეული უკვე შევიძინეთ და შევქმენით სპეციალური სერვერებით აღჭურვილი ოთახები მონიტორინგისთვის. პირველ ეტაპზე, ეს სერვისი მხოლოდ არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის იქნება, თუმცა იმაზეც ვმუშაობთ, რომ ცოტა ხანში, ცვლილება სრულწლოვნებზეც გავრცელდეს. ზოგადად, აქტიურად ვმუშაობთ აღკვეთის ღონისძიების ფარგლების გაფართოებაზე, რადგან რეალურად, დღეს მხოლოდ ორი ხერხი გამოიყენება — წინასწარი პატიმრობა ან გირაო. სხვა ხერხები არც ეფექტურია და არც ქმედითი. ამ შეთავაზებას მთავრობის სხდომაზე მალე გავიტანთ, რაც პატიმრების რაოდენობას შეამცირებს, ოღონდ არა „ქუჩის კრიმინალის“ გაზრდის ხარჯზე. საჭიროა ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმები, ამ სამაჯურების სახით, რაც ჯამში, იმაზე ძვირი არ ჯდება, ვიდრე თითოეული პატიმრის შენახვა.

კიდევ ერთი კარგი ინიციატივა გვაქვს, რომლის მთავრობის სხდომაზე გატანაც მალე იგეგმება.

**— ალბათ, პატიმრების დასაქმების პროგრამაზე საუბრობთ, რაზეც კითხვები უკვე არსებობს: რამდენად ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის ან რა კატეგორიისა და პროფესიის პატიმრები შეძლებენ ამ პროგრამაში ჩართვას?**

— როცა 2 000 ადამიანი, დილის 9-დან საღამოს 9 საათამდე ერთ დაწესებულებაში ზის და 10-15 წლით არაფრის პერსპექტივა აქვს, კაცმა არ იცის, რა იდეები შეიძლება დაებადოს. ასე იქმნება სტრესული, კონფლიქტური სიტუაციები, ვიღაცის მეშვეობით ნარკოტიკების შემოტანის სურვილი და ა.შ. ჩვენ ამ ადამიანებს ორ არჩევანს შევთავაზებთ და ამით უფრო ადვილად დავადგენთ, ვის სურს მუშაობა, საკუთარი ფულის გამომუშავება და მოკლე გზის გავლა თავისუფლებამდე და ვინ რჩება ქურდული და კრიმინალური სუბკულტურის ერთგული. ამ უკანასკნელების იზოლირება კი აუცილებლად მოხდება. უახლოეს მომავალში, პირველად საქართველოში, მაღალი რისკის დაწესებულების გახსნას ვგეგმავთ, მკაცრი სარეჟიმო პირობებით, სადაც სწორედ კრიმინალური სუბკულტურის მიმდევრები მოხვდებიან, რომელთაც უკეთ ყოფნა სხვა პატიმრების ჩაგვრის ხარჯზე სურთ. რაც შეეხება დასაქმებას, უკვე გვაქვს იმ პატიმრების სია, რომლებიც კონკრეტულ ხელობას ფლობენ. ვთქვათ, ციხეში რაღაც კედელია შესაღები. ამისთვის, კონკურსის წესით, ვინმეს გარედან კი არ მოვიწვევთ, ხელშეკრულებას პირდაპირ შესაბამისი პროფესიის პატიმარს გავუფორმებთ და ფულსაც გადავუხდით. ასევე, ვმუშაობთ საკანონმდებლო ბაზის მომზადებაზე, რათა საჭირო სამუშაოს შესასრულებლად, პატიმრის ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის შესაძლებლობა გვქონდეს. გარდა ამისა, გვჭირდება ათასობით პური, ლეიბი და ა.შ. ყველაფერ ამის შესაძენად, ტენდერს კი აღარ გამოვაცხადებთ, არამედ პირდაპირ დაწესებულებაში არსებულ სამკერვალო ფაბრიკას ან საცხობს შეუკვეთავთ და ასე, ბიზნესსექტორსაც მეტი სტიმული ექნება, ჩვენს დაწესებულებაში ახალი საწარმოები ააშენოს. თუ პარლამენტიც მხარს დაგვიჭერს, ბევრი პატიმარი დასაქმდება.

**— ამ ცვლილებების მიუხედავად, თქვენი შეფასებით, პენიტენციური სისტემის მთავარ მინუსად და გამოწვევად რა რჩება?**

— საერთოდ, ევროპული ციხე მხოლოდ პატიმრების უფლებების კი არა, უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაცაა, რაც 2 000-კაციან ციხეებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ვფიქრობ, ციხეებში ამხელა ლიმიტი არ უნდა არსებობდეს და ნელ-ნელა საკნობრივ სისტემაზე უნდა გადავეწყოთ. საჭიროა, ერთი, დიდი დაწესებულების ნაცვლად, რამდენიმე მცირე დაწესებულება აშენდეს, პატიმრების რაოდენობის უფრო დაბალი ლიმიტით. რთულია 2 000 კაცის კონტროლი, მით უმეტეს, როცა პატიმრების რიცხვი თანამშრომლებისას ბევრად აღემატება. ნაკლები ლიმიტის მქონე ციხეებში კი მართვის ბერკეტები გაცილებით ხელმისაწვდომი იქნება. გარდა ამისა, უფრო მოქნილი გახდება პატიმრების ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის პროცესი. დღესაც ბევრ პრეტენზიებს ვიღებთ, ეს დროულად რატომ არ ხდებაო და არავინ იცის, ამის უკან რამხელა საგამოძიებო სამუშაოები დგას. ჩვენი უსაფრთხოების თანამშრომლები, ყველა გადაყვანის წინ, სწავლობენ, ადგილზე მყოფ 2 000 კაცთან, ერთ კონკრეტულ პატიმარს ძველი წყენა, მტრობა, ნათესაური კავშირი, ან ნაცნობობა ხომ არ აკავშირებს და რამდენად მაღალია მოსალოდნელი კონფლიქტების რაოდენობა. ეს კი ხანგრძლივი პროცესია, ამიტომ ამ თემას ძალიან ფრთხილად ვუყურებთ.

**— და რამდენია ერთ დაწესებულებაში პატიმრების გონივრული ლიმიტი?**

— ევროპული გამოცდილებით, მაქსიმალური ლიმიტი 400 პატიმარია, თუმცა არსებობს ისეთი საპატიმროებიც, სადაც მაქსიმუმ, 200 კაცის ყოფნაა დაშვებული, თუმცა უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების მისაღწევად მხოლოდ ესეც არ იქნება საკმარისი. საჭიროა ციხეებში უსაფრთხო ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც აქამდე გათვალისწინებული არ ყოფილა. მაგალითად, ქუთაისის ციხის ნებისმიერ საკანში ქუჩიდან შეიძლება, ყვირილი გააგონო, გლდანის ციხის კორპუსებიდან კი პირდაპირ ჩანს ადგილი, საიდანაც ციხეში ახალი პატიმარი შეჰყავთ. ეს ყოვლად დაუშვებელია და ამიტომაც, გლდანში შიდადერეფნის გაკეთებაზე ვფიქრობთ. ციხე არ არის 5 კორპუსი, რომელიც, უბრალოდ, ერთ ტერიტორიაზე დგას, საჭიროა სწორი განლაგება და სწორი არქიტექტურული პროექტები.

მოკლედ, გეგმა ნამდვილად ბევრი გვაქვს. ახლა მთავარია, ეს რეფორმები ისეთ რელსებზე შევაყენოთ, რომ მომავალში ხელის ერთი მოსმით, ან ახალი მინისტრის ერთი ხელმოწერით, ეს პროგრესი არ გაჩერდეს. ყველაფერი ეს კი ისე უნდა გაკეთდეს, 2016 წლის არჩევნების მერე, რა პოლიტიკური კონფიგურაციაც უნდა იყოს ქვეყანაში, ამას სისტემის განვითარებისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

# რა კვალს დატოვებს „რუსთავი 2“-ის სასამართლო საქართველოს ეკონომიკასა და ევროინტეგრაციაზე



## რა პრობლემები აქვს და მარტივია თუ არა ქვეყანაში ბიზნესის კეთება — ლევან კალანდაძის შეფასებები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოში ევროკომისარი ფედერიკა მოგერანი ჩამოვიდა. ევროკომისრის ვიზიტი მნიშვნელოვანია, რადგან მაღალი დონის შეხვედრების პარალელურად, ისეთი საკითხები განიხილება, როგორებიცაა აღმოსავლეთ პარტნიორობის გაძლიერება, საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები. რეალურად, რა ვითარება ხვდება ევროკომისარს ქვეყანაში? რა და, მოსამართლე თამაზ ურთმელიძის 5 ნოემბრის ცნობილი გადაწყვეტილება, რომელიც დიპკორპუსმა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უარყოფითად უკვე შეაფასეს და რომლითაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილ მფლობელს, ქიბარ ხალვაშს 100%-იანი წილი გადასცა, მოქმედ გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიასა და ფინანსურ დირექტორ კახა დამენიას უფლებამოსილება შეუჩერა, დროებით მმართველებად კი ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი დირექტორი რევაზ საყევარიშვილი და „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელი დავით დვალი მიავლინა. შეუშლის თუ არა ხელს ხმოსამართლის ეს გადაწყვეტილება საქართველოს ევროინტეგრაციას? როგორი ბიზნესგარემოა — არის თუ არა ქვეყანაში ბიზნესის კეთება ადვილი და რატომ აკრიტიკებს საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი, ფადი ასლი? — „ვერსიის“ კითხვებს ანალიტიკოსი ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხებში ლევან კალანდაძე პასუხობს.**

**— ბატონო ლევან, რა გავლენას მოახდენს „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული მოვლენები ევროკომისარ ფედერიკა მოგერანის ვიზიტზე?**

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად იმუშავებს ევროკომისიასთან დიპლომატიური მისია — საგარეო საქმეთა სამინისტრო, რამდენად სრულფასოვნად და სრულყოფილად მიაწვდიან ევროკავშირის ელჩებს ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, მათ შორის, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით. ვფიქრობ, „რუსთავი 2“-ის ქეისი ზედმეტად პოლიტიზებულია. თუმცა სიტყვის თავისუფლება მნიშვნელოვანი დემოკრატიული ღირებულებაა, რასაც ქვეყნის განვითარება და მისი ხვალინდელი დღე უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ თუ სასწორზე სიტყვის თავისუფლებასა და საკუთრების უფლებას დავდებთ, ამ უკანასკნელის დაცვას ვერაფერი გადაწონის, ამიტომაც მგონია, თემის ზედმეტად უტრირებამ და პოლიტიზებამ საკუთრების უფლების დაცვა ჩრდილში გადაიყვანა. ადამიანების იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „რუსთავი 2“-ის მფლობელების ისტორია ქიბარ ხალვაშით დაიწყო ან მისით მთავრდება და შესაბამისად, ე.წ. სამართლიანობის აღდგენაც ამით უნდა დასრულდეს, რადგან ქიბარ ხალვაშამდეც ჰყავდა „რუსთავი 2“-ს მესაკუთრეები და სავარაუდოდ, მათი საკუთრების უფლებაც დაირღვა. თუ „ჩავიცკლებით“, რომ „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეების ისტორია ქიბარ ხალვაშით დაიწყო, ჩვენს ევროპელ პარტნიორებს კითხვის ნიშნები ექნებათ და მათზე პასუხის გაცემა, როგორც საზოგადოებას, ასევე „რუსთავი 2“-ის ძველ მესაკუთრეებს და შეიძლება, ხელისუფლების ნაწილსაც მოუწიოს, თუმცა პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ტელევიზიას გარკვეული ინტერესები აქვს, მათ შორის პოლიტიკური ძალის ინტერესებიც. „რუსთავი 2“-ის თემა განსაკუთრებით იმიტომ „გაცხელდა“, რომ ნაციონალური მოძრაობა რეალურად პოლიტიკურ მომავალს კარგავს. აქედან გამომდინარე, თემის გახურება-გაცხელების გარდა, სხვა გზა არ აქვთ. ხელისუფლებაზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული, ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას და რაც მთავარია, დიპლომატებს, ევროპელ და ამერიკელ კოლეგებს ინფორმაცია სწორად მიაწოდოს. თუ ხელისუფლება შეძლებს, საერთაშორისო საზოგადოებას დაანახოს, რომ მისი კვალი „რუსთავი 2“-ის საქმეში არაა, მერწმუნეთ, პრობლემა არ იქნება. ჩვენი უცხოელი კოლეგები და პარტნიორები სულელები არ არიან, მათ კითხვებზე პასუხები სჭირდებათ!.. ამდენად, თუ ხელისუფლება სწორ აქცენტებს გააკეთებს, „რუსთავი 2“-ის საქმე ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის ან სხვა მოლაპარაკებების პროცესში არ მიმაჩნია, რომ შესაძლოა, პრობლემური ქეისი იყოს.

**— მართალია, 17.00-დან 18.00 საათამდე პერიოდი შუაღამე არ არის, მაგრამ მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილება სწორედ შუაღამისას გასაჯაროვდა. ამან მიხეილ სააკაშვილის მმართველობა გაგვახსენა, როცა ბიზნესმენებს შუაღამისას მოდულში მიათრევდნენ და წილებს იძულებით ათმობინებდნენ. თუ დიპლომატიურმა სამსახურებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ „რუსთავი 2“-ის საქმეში ხელისუფლების კვალი ვერ იპოვოს, მოსამართლემ ასეთი სერიოზული შეცდომა რატომ დაუშვა?**

— ფაქტია: ამ საკითხზე ნაციონალური მოძრაობა ზედმეტ განცხადებებს აკეთებს. წილების იძულებით გადაფორმებისა თუ მაპატიეთ და, ბინებიდან, საცვლებისამარა მოქალაქეების ძალით გამოთრევის შემდეგ, ნაციონალები სხვებს შენიშვნებს არ უნდა აძლევდნენ! „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით მოსამართლის გადაწყვეტილება სამართლებრივი პროცედურები იყო, რომელიც კანონითაა გაწერილი. პირდაპირ გკითხავთ, დაირღვა თუ არა სამართლებრივი პროცედურები ანუ სასამართლოს გადაწყვეტილება 17.30 საათზე და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ვადა?

**— რა თქმა უნდა, არ დარღვეულა.**

— დიახ და მთავარი ესაა. „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული სასამართლო პროცესი კერძო დავაა და ამას სიტყვის თავისუფლების დაცვად ვერ აღვიქვამ. ყველა თავისი სარგებლისთვის იბრძვის, მაგალითად, „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობა იმ ბენეფიტებისთვის იბრძვის, რაც ხელფასის სახით აქვს, მესაკუთრეები — იმ წილებისთვის ნ, რასაც ტელეკომპანიაში ფლობენ, ძველი მესაკუთრეები ანუ ქიბარ ხალვაშის მხარე — თავისი წილის, ქონებისა და მატერიალური სარგებლის დასაბრუნებლად, პოლიტიკური ძალა ანუ ნაციონალური მოძრაობა კი პოლიტიკური გავლენისთვის იბრძვის. ის, რომ „რუსთავი 2“-ისა და ნაციონალური მოძრაობის მხარემ, თავიანთი ადვოკატების საშუალებით, პროცედურული ბრძოლა წააგო, ქიბარ ხალვაშის ბრალი არაა. ქიბარ ხალვაშის ადვოკატებმა უზრუნველყვეს სამართლებრივი პროცედურების საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება, მაგრამ „რუსთავი 2“-ის ადვოკატებმა ეს ვერ შეძლეს. აქედან გამომდინარე, „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლებმა, პრობლემები და ხარვეზები საკუთარ ადვოკატებში უნდა ეძებონ! მის ადგილზე რომ ვიყო, ადვოკატებს მომენტალურად გამოვცვლიდი.

**— საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა, ფადი ასლიმ, რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში დაწერა: „ვინც ამტკიცებს, რომ ბიზნესი საქართველოში თავისუფალია, ან მატყუარაა, ან სრული იდიოტი. ჩვენს წევრ, მინიმუმ 10 კომპანიას, მიზანმიმართულად ავიწროებს ფინანსური პოლიცია და ბოლო ორწელიწადნახევარია, შემოსავლების სამსახური შეუჩერებლად ახორციელებს აუდიტს...“ ფადი ასლის ეს განცხადება რას ნიშნავს?**

— ამ განცხადების საპასუხოდ გეტყვით, რომ დიახ, საქართველოში ბიზნესი თავისუფალია, თუმცა თუ ფადი ასლი იტყვის, რომ ლევან კალანდაძე მატყუარა და იდიოტია, ეს მისი პრობლემაა! სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების დროს, როცა ბიზნესმენთა უფლებები ილახებოდა, ხელისუფლება ბიზნესს ატერორებდა, წილებს ართმევდა და სამართლებრივი პროცედურების დარღვევით, ადამიანებს ციხეში სვამდა, ფადი ასლის განცხადებები ამ თემებზე არ მახსენდება. თუ წინა ხელისუფლების დროს არ ჰყოფნიდა ვაჟკაცობა, რომ მსგავსი განცხადება გაეკეთებინა და ბიზნესი დაეცვა, ახლა, როგორც მინიმუმ, უნდა გაჩუმდეს! თუ კონკრეტულ საკითხებზე ახლა გაუჩნდა პრეტენზიები, მაშინ წინა ხელისუფლების პირობებში, რატომ დუმდა? მგონია, რომ ეს თემაც ზედმეტად უტრირებულია. იმ ტერმინებითა და ეპითეტებით არ შევაფასებ ამ პროცესს, როგორც ამას ფადი ასლი აფასებს, მაგრამ ერთს გეტყვით, თუ არსებობს გარკვეული პრობლემა, რაც საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრ კომპანიებს შეექმნათ, უმჯობესია, შესაბამის უწყებებს მიმართონ. სასამართლოში არაერთხელ დამტკიცდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა, მათ შორის, შემოსავლებისა და საგადასახადო სამსახურებმა, ასევე ფინანსთა სამინისტრომ არაერთხელ და საკმაოდ სამართლიანადაც წააგო პროცესი. აქედან გამომდინარე, იდავოს ბატონმა ფადიმ, დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მაგრამ კონკრეტული ფაქტებისა და არგუმენტების გარეშე საუბარი, რომ თურმე, ვიღაც ავიწროვებს, ჩემთვის არადამაჯერებელია!

**— ფადი ასლი იმასაც ამბობს, რომ მთავარი პრობლემა, რაც ბიზნესს საქართველოში აწუხებს, ის ახალი კანონებია, რომლებსაც ხელისუფლება ბიზნესთან კომუნიკაციის გარეშე იღებს. როგორ ფიქრობთ, ის ნაბიჯები, რასაც მთავრობის ეკონომიკური გუნდი დგამს, სწორია? იქნებ, ბიზნესთან კომუნიკაცია მართლაც, სერიოზული პრობლემაა?**

— ბიზნესთან ხელისუფლების კომუნიკაცია ორ ნაწილად უნდა გავყოთ. პირველ ეტაპზე ანუ 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ბიზნესთან კომუნიკაცია მართლაც სერიოზული პრობლემა იყო, რაზეც ბიზნესი წუხდა. დიახ, ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, მაგრამ ბევრი რამ გამოასწორა — რამდენიმე კანონი, რაც დაჩქარებულად მიიღო, გააუქმა და რეგულაციებიც დახვეწა. ახლა მეორე ეტაპია, როდესაც ბიზნესს ხელისუფლებასთან კომუნიკაცია აღარ უჭირს. საქართველოს ბიზნესასოციაცია, პრაქტიკულად, ორ-სამ კვირაში ერთხელ, სერიოზულ შეხვედრებს მართავს ხელისუფლებასთან, მათ შორის, დახურულ კარს მიღმაც, რაც თავისთავად, სწორია. კომუნიკაციის თვალსაზრისით, დღეს გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე თუნდაც ერთი, ან ორი წლის წინ იყო, თუმცა ბიზნესს დღეს სულ სხვა პრობლემები აქვს და ესაა გადაწყვეტილებების დროულად მიღება. ჩვენ გარკვეული ეტაპი უკვე გავიარეთ, კარგია, რომ ადრე დაშვებული შეცდომები ვაღიარეთ და ხელისუფლებამ დამოკიდებულება შეცვალა ანუ ბიზნესთან აქტიური კომუნიკაცია აღადგინა. ამ მხრივ, პრობლემა არ არის, მაგრამ მგონია, რომ სწორედ ასეთ შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებები უნდა აისახოს რეგულაციებსა და საკანონმდებლო აქტებში დროულად, რაც ისევ პრობლემად რჩება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, მაგრამ ფაქტია: ყველა საკითხი მაქსიმალურად უნდა გატესტოს. მესმის, გვეჩქარება და გვინდა, ეფექტური გადაწყვეტილებები სწრაფად მივიღოთ, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგადად, კარგი გაგებით, ხელისუფლება ბიუროკრატიაა, რაც გარკვეული პროცედურებისა დაცვას მოითხოვს.

**— შემოსავლების სამსახურის რეგულარული აუდიტი ანუ სხვადასხვა კომპანიის შემოწმება საკამათო არაა, მაგრამ ადრე ხშირად გითქვამთ, რომ ამ ტიპის შემოწმებები ბიზნესსაქმიანობას აფერხებს, რადგან დროში იწელება. დღეს ამ მხრივ რა ვითარებაა?**

— დიახ, პრობლემები მართლაც იყო და ამ საკითხზე არაერთი ბრიფინგიც გაგვიმართავს, მაგრამ შემოსავლების სამსახურმა საკუთარი საქმიანობა დახვეწა. ბოლო პერიოდში, შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული აუდიტის დაუსრულებელ, ან შემაწუხებელ ვადებზე, ერთი განცხადებაც კი არ მსმენია. ჩემთვის სწორედ ესაა ინდიკატორი, რადგან ბიზნესის ხმა იმის ნიშანია, უჭირს თუ არა და ბიზნესწრეებში, ამ პრობლემაზე უკვე აღარ საუბრობენ. ბიზნესის, საზოგადოებისა და ექსპერტების გარკვეული ნაწილის ერთობლივი ძალისხმევით, ვაიძულეთ, რომ შემოსავლების სამსახური გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეულიყო. შესაბამისად, დღეს შემოწმების ვადებს იცავს და ბიზნესთან მიმართებაში, ცდილობს, კორექტული იყოს. ფადი ასლის განცხადება, თითქოს შემოსავლების სამსახური გაუთავებელ შემოწმებებს აგრძელებს, იმას ნიშნავს, რომ ეს სამსახური მხოლოდ საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრ კომპანიებში შევიდა. ესე იგი, გამოდის, რომ ხელისუფლებას ფადი ასლის ჯინი სჭირს? ეს ბრალდება სასაცილო მგონია, რადგან სახელმწიფო ინსტიტუტები ამ დონემდე არ დაეშვებიან. მოდით, რეალურად ვთქვათ, ფადი ასლის ჯინი საქართველოში არავის სჭირს, ეს ყოვლად წარმოუდგენელია და არც სახელმწიფოს ინტერესებში შედის!

**— ბატონო ლევან, რა პრობლემა აქვს დღეს ბიზნესს საქართველოში?**

— ბიზნესს მართლაც ბევრი პრობლემა აქვს, გასაგრძელებელია საგადასახადო კოდექსის შემდგომი ლიბერალიზაციის პროცესი, როგორც გადასახადების ადმინისტრირების, ასევე, საგადასახადო განაკვეთების შემცირების თვალსაზრისით. რაც ყველაზე მთავარია, საგადასახადო კოდექსი ქვეყნის განვითარების ინსტრუმენტი უნდა გახდეს და მისი მიზანი მხოლოდ საგადასახადო შემოსავლების მობილიზება არ უნდა იყოს. თუ ამ თვალსაზრისით, საგადასახადო კოდექსი, მეტ-ნაკლებად, სრულფასოვანი გახდება ანუ საგადასახადო ტვირთის შემცირების რეფორმირება და გადასახადების ოპტიმიზაცია გაგრძელდება, ეს ძალიან კარგი იქნება. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი მცირე ბიუჯეტის ანუ სახელმწიფო-ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და მცირე მთავრობის იდეის რეალიზაციაა. რეალურად, ამის შედეგი საქართველოს ბიზნესგარემოს მიმზიდველობა იქნება, რაც შესაძლოა, ბიზნესისთვის უმთავრესი პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი ინსტრუმენტიც კი გახდეს და ეს კაპიტალზე წვდომაა. კაპიტალის დეფიციტის პრობლემის აღმოფხვრა, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლას, დამატებითი კაპიტალის გაჩენასა და ნორმალური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას უკავშირდება.

**— ფადი ასლის განცხადებითვე, ბიზნესის კეთება საქართველოში მხოლოდ ფურცელზეა მარტივი. ასეა?**

— ბევრი, კონკრეტული ბიზნესქეისი იმის მაგალითია, რომ ქვეყანაში ბიზნესის კეთება პრობლემა არ არის. უბრალოდ, გარკვეული ობიექტური პირობებიც არსებობს, მაგალითად, ის, რომ კაპიტალის ნაკლებობაა ქვეყანაში, მეტი უცხოური ინვესტიცია კი მეტის გაკეთების რეალური საშუალებაა თავად ბიზნესისთვის. ვფიქრობ, ქვეყანაში რეფორმები სწორედ ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს, რათა ერთი მხრივ, მიმზიდველი იყოს და მეორე მხრივ, კაპიტალის მოზიდვის საშუალებაც გაიზარდოს. საქართველოში ბიზნესის კეთება მარტივი რომ მხოლოდ ფურცელზეა და აქ ვიღაცას ატერორებენ, ეს თითიდან გამოწოვილი, უტრირებული შეფასებაა. ვერ ვხვდები, რა მიზანი ამოძრავებს ამ განცხადების ავტორს, რადგან ბევრი კონკრეტული ქეისი, კონკრეტული ბიზნესპროექტი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ამ ქვეყანაში ბიზნესის კეთება პრობლემა არ არის. ამ მხრივ შეზღუდვა არ არსებობს, შესაბამისად, არც ბიზნესმენებს აქვთ შიში, რომ ვიღაც წილში ჩაუჯდება ან შუაღამისას, საცვლებისამარა გამოათრევს და წილების გადაფორმებას მოსთხოვს.

**— ბოლო დროს, საქართველოში ჩინური ინვესტიციები გააქტიურდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუნდაც ლარის სტაბილურობისთვის. თქვენი მონაცემებით, უცხოური ინვესტიციების ნაწილში, ვითარება გამოსწორდა?**

— ბოლო საერთაშორისო ფორუმს, რომელიც „აბრეშუმის გზის“ სახელით საქართველოში გაიმართა, გარკვეულწილად, დიდი გარღვევა მოჰყვება. ამ ფორუმს საკმაოდ ბევრი კომპანიის წარმომადგენელი და ბიზნესმენი ესწრებოდა აღმოსავლეთიდან. აღმოსავლეთის მიმართულებით, როგორც სავაჭრო, ასევე საინვესტიციო თვალსაზრისით, საქართველოს განვითარებას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი ინფორმაციით, თანაინვესტირების, ასევე საპარტნიორო ფონდებში, დღეს რამდენიმე ათეული ბიზნესპროექტისა და ბიზნესშეთავაზების განხილვა მიმდინარეობს. ბევრი ჩინური და კორეული კომპანია მუშაობს კონკრეტულ ბიზნესგეგმასა და შეთავაზებაზე. დარწმუნებული ვარ, 2016 წლის განმავლობაში, სწორედ აღმოსავლური ინვესტიციების სახით, რამდენიმე მსხვილ ბიზნესპროექტს ვიხილავთ.

# რა კითხვები აქვს ბიზნესმენ თემურ ჭიჭინაძეს ნიკა გვარამიასა და ლაშა ნაცვლიშვილთან



„ჟინერისა“ და ორთაჭალჰესის სკანდალური საქმეების უცნობი დეტალები

ვანო პავლიაშვილი

**„რუსთავი 2“-ის საქმემ ნაციონალებისგან დაზარალებულებს იმედი გაუჩინა, რომ სამართლიანობა შერჩევითი აღარ იქნება და მათთვისაც აღდგება. ყოველ შემთხვევაში, ქართველ ენერგეტიკოსთა ჯგუფი, რომელიც მიშას ხალხმა ორჯერ გააკულაკა, იმედოვნებს, რომ სამართალდამცავი უწყებები, სხვა თუ არაფერი, მინიმუმ, იმ განცხადებების შესწავლას მაინც დაიწყებს, რომლითაც მთავარ პროკურატურას ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბერში მიმართეს. სხვათა შორის, ქართველ ინვესტორთა ეს ჯგუფი ერთ-ერთი პირველი იყო ქართულ ენერგეტიკაში, ვისაც ნაცებმა ბიზნესი წაართვეს, ლაპარაკია კომპანია „ჟინერზე“, რომელიც ჟინვალჰესს 1993 წლიდან, 25-წლიანი ლიზინგის უფლებით ფლობდა. ქონების წართმევის მეორე ეპიზოდი ორთაჭალჰესს უკავშირდება, რომელიც შედარებით გვიანდელია და 2007-2008 წლებით თარიღდება. „ქონების წართმევებში ყველაზე დიდი „ღვაწლი“ ტელეშოუმენ ნიკა გვარამიას და კახა დამენიას მიუძღვის — ყველაფერს ეგ და დამენია „აპრავებდნენ“, რომელიც „რუსთავი 2“-ში მოადგილედ ჰყავს და დღეს რა მორალით ითხოვს, რომ გვერდით დავუდგეთ?“ — რიტორიკულად კითხულობს ბიზნესმენი თემურ ჭიჭინაძე, რომელსაც გარკვეული კითხვები „ოცნების“ მთავარი პროკურორის ყოფილ მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილთანაც აქვს და რომელიც ამ თემებზე საჯაროდ, „ვერსიის“ თხოვნით, პირველად ლაპარაკობს.**

— პირველ რიგში, მივესალმები მოსამართლის გადაწყვეტილებას და ხალვაშს, აქიმიძეს და დვალს ვულოცავ სამართლიანობის აღდგენას. იმედია, ეს პირველი და უკანასკნელი არ იქნება.

ქონების წართმევის ერთ-ერთი პირველი ფაქტი შპს „ჟინერს“ ეხებოდა, რომელსაც ჟინვალჰესი გრძელვადიანი იჯარით ჰქონდა აღებული და რომელშიც მრავალმილიონიანი ინვესტიცია განახორციელა. სხვათა შორის, ენერგეტიკის დარგში „ჟინერი“ ერთ-ერთი პირველი ქართული ოპერატორი იყო — რამდენიმე მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა, ელექტროენერგიის წარმოება ორჯერ გაიზარდა, მინიმალური ტარიფით 1,83 თეთრი. დედაქალაქს წყალი უფასოდ მიეწოდებოდა. „წართმევის ოპერაცია“ 2004 წელს დაიწყეს და 2005-ში დაამთავრეს. მაშინ ბიზნესის „ახევის“ „კლასიკური სცენარი“ ჯერ შემუშავებული არ ჰქონდათ. უბრალოდ, მე — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი, ემზარ ჩაჩხიანი დაგვაკავეს.

**— დაკავებას რამე, ვთქვათ, ფინანსური შემოწმება უძღვოდა?**

— დიახ, მაგრამ ვერაფერი ნახეს... მანამდე კი, ერთი-ორჯერ, ხუმრობით შემომითვალეს, კომპანია 25 პროცენტს ხომ არ დათმობსო, რაც სრულიად მიუღებელი იყო. რეპრესიები დაწყებული არ იყო და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ ნათქვამს ასეთი გაგრძელება მოყვებოდა... სხვათა შორის, მერე, სამეთვალყურეო საბჭოში ჩვენმა ყოფილმა ადვოკატებმა — ყავლაშვილმა და მისმა კოლეგამ ხაჟალიამ ჩაგვანაცვლეს, რომლებიც, როგორც შემდგომში გაირკვა, ადეიშვილის ზონდერადვოკატები იყვნენ... ენერგეტიკოსები ადვოკატებმა ჩაგვანაცვლეს.

იმხანად, თბილისის საკრებულოს წევრი ვიყავი. საკრებულოდან რომ გამოვედი, მანქანაში ჩამიხტნენ, დამაკავეს და ფინანსურ პოლიციაში წამიყვანეს, სადაც ემზარ ჩაჩხიანი დამახვედრეს და სადაც მასზე და ჩემზეც, ჩვენი წილების დათმობაზე, მორალური წნეხი ხორციელდებოდა.

**— ამ დროს ფინანსურის შეფი ვინ იყო?**

— დავით კეზერაშვილი... იქ მივხვდით, რომ ჩვენს ობიექტზე თვალი დიდი ხნის დადგმული ჰქონდათ.

**— „ვარდების რევოლუციამდე“ ამბობდნენ, რომ ჟინვალჰესში ვანო მერაბიშვილის ინტერესი იდო ანუ თვალი მერაბიშვილმა დაგადგათ?**

— არა, თავიდან ბოლომდე ქალაქის მაშინდელი მერის, გიგი უგულავას ინტერესი იკვეთებოდა. სხვათა შორის, დაკავებიდან რამდენიმე თვის მერე უგულავამ ჩაჩხიანი დაიბარა, 4 საათი თავის კაბინეტში ჩაკეტა და ვიდრე ჩვენი სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ წევრს, ალეკო კობაიძეს ბლანკიანი ქაღალდი არ მიატანინეს და განცხადება არ დააწერინეს, რომ სასამართლო დავაზე უარს ამბობდა, არ გამოუშვეს. ამაში, უგულავასთან ერთად, „თბილწყალკანალის“ მაშინდელი ხელმძღვანელი გეგი ქელბაქიანი და ქონების მართვის ხელმძღვანელი ლევან ალაფიშვილიც აქტიურად იყვნენ ჩართულები.

**— ვინ და როგორ გაიძულათ?**

— ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსანმა დოლიძემ. გამომძიებელი კვერნაძე კი ჩაჩხიანს ამუშავებდა. ისინი გვეუბნებოდა, ეს დავალებაა და წილების დათმობა აუცილებელიაო.

**— არ იკითხეთ, წილები რის საფუძველზე უნდა დაგეთმოთ?**

— ობიექტს თითქოს რაღაც ლიცენზია ჰქონდა დარღვეული... გამომძიებელი, რომელმაც არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, წამდაუწუმ გარეთ გადიოდა და მერიაში რჩევისთვის უგულავასა და ალაფიშვილთან რეკავდა.

**— ანუ სხვა მეწილეებიც დააკავეს?**

— დანარჩენი პარტნიორები შეკრიბეს. მთავარი მე და ჩაჩხიანი ვიყავით... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ჩვენი წილები დავთმეთ.

**— ქიბარ ხალვაში ამბობს, რომ თავიდან ნაციონალებს ენდობოდა და „რუსთავი 2“-ის ყიდვაზეც ამიტომ დათანხმდა. „ვარდოსნებთან“ კავშირი თქვენც გქონდათ?**

— მე და სააკაშვილი ერთი მოწვევის საკრებულოს წევრები ვიყავით. ვერ ვიტყვი, რომ „ვარდების რევოლუციას“ მხარს ვუჭერდი, მაგრამ ქვეყანაში პროგრესი აღარ იყო და ვთვლიდი, რომ ამ ახალგაზრდა ბიჭებს შეიძლება, რამე შეეცვალათ, თუმცა ვაღიარებ: ეს არასწორი შეფასება იყო...

თუ არ ვცდები, 2005 წლის აგვისტოში, ამ დროს სააკაშვილი უკვე პრეზიდენტი იყო, საკრებულოს უმრავლესობასა და ოპოზიციასთან შეხვედრა მოინდომა, რომელიც ლიკანში შედგა. ჟენევიდან ერთი კვირის დაბრუნებული ვიყავი, სადაც „ჟინერმა“ ენერგეტიკაში შეტანილი წვლილისთვის, ბრილიანტის ჯილდო მიიღო. როგორც ფრაქცია „მრეწველების“ წარმომადგენელი, ლიკანში შეხვედრისას, სააკაშვილს ვუთხარი, რომ „ჟინერი“ დაჯილდოვდა, თან ჟინვალჰესის 25 წლის იუბილეზე დავპატიჟე. წამოხტა და გადამკოცნა, ძალიან დიდი მადლობა, ქვეყნისთვის ასეთ კარგ საქმეს რომ აკეთებთო.

**— ესე იგი, ეს კოცნა თქვენთვის საბედისწერო აღმოჩნდა, არა?**

— (იღიმება) დიახ, როგორც იტალიურ მაფიაშია... ჩაჩხიანი უგულავას კაბინეტში, წეღან რომ გითხარით, სწორედ ამ კოცნიდან მეორე თუ მესამე დღეს ჩაკეტეს და დააწერინეს, რომ „ჟინერი“ სასამართლო დავებზე უარს იტყოდა.

**— წილები ვის გადაუფორმეთ?**

— სახელმწიფოს, კერძოდ, ეკონომიკის სამინისტროს.

**— წლების გადაფორმება ღამე მოხდა?**

— არა, მაშინ ღამის პრაქტიკა ჯერ არ ჰქონდათ... მას შემდეგ, რაც ჩაჩხიანს უგულავას კაბინეტში დააწერინეს, რომ სასამართლო დავაზე უარს ვამბობდით, „ჟინერის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა ჩაატარეს, ჩვენ გაგვათავისუფლეს და, როგორც გითხარით, ჩვენს ადგილას ის ცნობადი ადვოკატები მოვიდნენ, რომლებიც ჩვენს კომპანიას ემსახურებოდნენ.

**— ბატონო თემურ, ვერ ხვდებოდით, რომ თქვენი ადვოკატები ნაციონალებთან გარიგებაში იყვნენ?**

— ვერა...

**— ანუ არ გამორიცხავთ, რომ „ნაკოლი“ სწორედ მათ მისცეს?**

— გამორიცხული არაფერია... ხელისუფლებას შევარდნაძის დროსაც ჰქონდა ხოლმე სურვილი, რომ ბიზნესში შემოსულიყო, მაგრამ ვერ ბედავდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მინიშნებები კეთდებოდა, აი, გვერდით დაგიდგებიო, მაგრამ როცა სუფთად მუშაობ, ასეთ რაღაცებზე არ ფიქრობ, თან, თუკი რამე მოხდებოდა, სამართლის პოვნა შევარდნაძისდროინდელ სასამართლოში უფრო შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ პროცესები ბევრჯერ მოგვიგია, მათ შორის სახელმწიფოსთანაც.

**— სხვათა შორის, ქიბარ ხალვაშიც ნაციონალების მიმართ კეთილად იყო განწყობილი. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც ბიზნესს მიშას დროს დაემართა, თავად ბიზნესის ანუ იმის ბრალი ხომ არ იყო, რომ ხელისუფლებასთან მეგობრობდა?**

— სხვისი არ ვიცი, ჩვენ კი, სააკაშვილთან საკრებულოს გარეთ ურთიერთობა არ გვქონია. საკრებულოშიც მრეწველები კონსტრუქციულ ოპოზიციად ითვლებოდა, სულ ეგ იყო, თან ყველა აღნიშნავდა, რომ „ჟინერი“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანია იყო...

„ჟინერის“ წართმევა, როგორც მერე გაირკვა, მრავალსაფეხურიანი კომბინაცია იყო — ჯერ წაართვეს ქართველ ინვესტორებს, „თბილწყალს“ გადასცეს და, საბოლოოდ, მიზერულ ფასში რუსეთს კომპანიას 75 მილიონად გადასცეს: თბილისის წყალთან ერთად დღეს ჟინვალჰესს რაპაპორტის „კამანდა“ მართავს.

**— ბატონო თემურ, „ჟინერ“-ჟინვალჰესთან დაკავშირებით პროკურატურაში განცხადება, როგორც ვიცი, 2012 წლის ოქტომბერში შეიტანეთ. გამოძიების კუთხით, სიახლე არაფერია?**

— არა. არადა, ხელისუფლების შეცვლისთანავე, ფინანსური პოლიციაში დირექტორი დაიბარეს და გვთხოვეს, საჩივარი შეგვეტანა. გამომძიებელმა ჭალიძემ გამოძიება ბრწყინვალედ დაიწყო, მაგრამ ყველაფერი 3-4 თვეში გაჩერდა.

**— გამოძიების გაყინვაში, სხვების მსგავსად, თქვენც კბილაშვილ-ნაცვლიშვილს ადანაშაულებთ?**

— დიახ, თავიდან ბოლომდე. ეს ტანდემი იყო: კბილაშვილი თავისი უმოქმედობით, ნაცვლიშვილი კი მაქინაციებით.

**— თქვენი აზრით, ნაცვლიშვილს რა ინტერესი ჰქონდა, რომ გამოძიება გაეყინა?**

— ამის თქმა რთულია, მაგრამ ფაქტია: გამოძიება „გაჭედა“. არადა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პირდაპირ უგულავას დანაშაული იკვეთება: ჩაჩხიანს თავისუფლება 4 საათით უკანონოდ აღუკვეთა.

**— ბატონო თემურ, თუკი ნაცებს თქვენი განადგურება ჰქონდათ განზრახული, „ჟინერთან“ ერთად, ორთაჭალჰესსაც ჩამოგართმევდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც ვიცი, მხოლოდ 2007 წელს წაგართვეს...**

— აქ ლაპარაკი ჩემს განადგურებაზე არ იყო, ამოცანა იყო ბიზნესის წართმევა. თან ორთაჭალჰესი ისეთი პატარა იყო, ყურადღებას არ აქცევდნენ, თუმცა ამასობაში, სერიოზული ენერგომაფია ჩამოყალიბდა, „ენერგო პროც“ შემოვიდა და ორთაჭალჰესითაც მაშინ დაინტერესდნენ.

**— აქაც უგულავას ხელი ერია?**

— არა, უფრო ადეიშვილ-მერაბიშვილის. სხვათა შორის, ქართულ ენერგეტიკას დღესაც ისევ ეს ენერგომაფია აკონტროლებს.

**— ორთაჭალჰესის აქციებიც იძულებით დაგათმობინეს?**

— პრინციპში, ასე გამოვიდა, თუმცა ეს ცოტა სხვა შემთხვევაა: ეს ობიექტი კომპანია „ორთაჭალენერჯის“, 2019 წლამდე, ლიზინგით ჰქონდა აღებული, მაგრამ აუქციონზე გაიტანეს. არადა, „ენერგო პრო“ გაფრთხილებული იყო, რომ აუქციონში მონაწილეობა არ მიეღო, რადგან ქონება ჩვენ გვეკუთვნოდა და საქმე სასამართლოში იხილებოდა. ეს იყო ჯგუფური დანაშაული, რომელშიც „ენერგო პრო“, საჯარო რეესტრი, ეკონომიკის სამინისტრო, სემეკი და, თავისთავად სასამართლო მონაწილეობდა.

**— სასამართლოს არც „ორთაჭალჰესის“ წართმევაზე მიმართეთ?**

— აუქციონი რომ ჩატარდა, საქმე უკვე სასამართლოში იხილებოდა, მაგრამ ამასაც არ დაელოდნენ. ეს საქმე ათ მოსამართლეს აქვს განხილული — დავით ღიბრაძემ, ეცადაშვილმა, ლეკვეიშვილმა, აბუსერიძემ, სოსო ღურწკაიამ, თამარ ალანიამ და ბოლოს, ნათია ხამხაძემ ერთნაირი, თითქოს ერთი ხელით დაწერილი გადაწყვეტილება გამოიტანეს. რომელ სასამართლო დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი, როცა ისევ ძველი გუნდიდან იმართებიან. ასევე საინტერესოა არასამთავრობოებისა და დიპკორპუსის მაშინდელი პოზიცია — სიჩუმე და ეს მაშინ, როცა დღეს „რუსთავი 2“-ს დასაცავად ერთი ამბავია ატეხილი. მიმაჩნია, რომ მოსამართლე ურთმელიძემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა წართმეული ქონება დაუბრუნა ძველ მეპატრონეებს. ქონება ჩვენც წაგვართვეს. მეტიც, იმ ქონებიდან, რომელიც ჩვენი, ქართველი ინვესტიციებით არის შექმნილი და დღესაც „ორთაჭალენერჯის“ ბალანსზეა, „ენერგო პრო“ ფლობს და, ჩვენი ქონების ხარჯზე, უკანონო შემოსავლებსაც ღებულობს. ფინანსურ პოლიციას აღნიშნულ საკითხზეც დაწყებული აქვს გამოძიება, მაგრამ სამწუხაროდ, ესეც თაროზე შემოიდო.

**— ესე იგი, ორთაჭალჰესთან დაკავშირებითაც, მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის, ნაცვლიშვილის შესაძლო კორუფციულ ინტერესებამდე მივდივართ?**

— ალბათ... ამ შემთხვევაში, საქმე, მინიმუმ, ფულის გათეთრებასთან გვაქვს... ყოველი ახალი მთავარი პროკურორის დანიშვნისას, ჩვენი ადვოკატები შედიან შუამდგომლობით, რომ გამოძიება განახლდეს, მაგრამ არავითარი პასუხი ანუ პრეცედენტს არ ქნიდნენ. „რუსთავი 2“-ის საქმემ კი იმედი გააჩინა, რომ ჩვენი საქმეებიც უნდა მივიდეს ლოგიკურ დასასრულამდე.

**— ბატონო თემურ, იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი საქმის გამოძიება ახლაც არ განახლდება, ხომ არ ჩათვლით, რომ „ოცნების“ ცალკეული მაღალჩინოსნები ბლოკავენ? მით უმეტეს, სხვა ინტერვიუებში ნოღაიდელისა და „ოცნებელების“ კავშირებზე არაერთხელ მიგინიშნებიათ...**

— სამი წელია, ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ჩვენ კერძო დავებზე ხმა არ ამოგვიღია. ორთაჭალჰესი „ენერგო პრომ“ წაიღო, რომლის უკანაც, ვიცით, ვინც დგას — ნოღაიდელ-მერაბიშვილის გუნდი. ნოღაიდელი კი ვისი პარტნიორია? ქართულ ენერგეტიკას დღესაც ეს მაფია აკონტროლებს და ჩვენი საქმეც გაჩერებული ამიტომაა.

ისე, ახალი პროკურატურამ შეცდომა დაუშვა — სადავო ქონებაზე თავიდანვე მონიტორინგი უნდა ჩატარებულიყო, რადგან გადაყიდვები არ მომხდარიყო. ესეც რომ არა, პასუხი სახელმწიფომ ან მესამე და მეოთხე კეთილსინდისიერმა მყიდველმა კი არა, მათ უნდა აგონ, ვინც ქონება წაიღო.



## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს შეხვდა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარ ნილს მუჟნიეკსს და მის მრჩევლებს — ქრისტინა მარდიროსსიანს, ოლენა პეტსუნსა და ჟილ ბრუილს — შეხვდა. შეხვედრას, ასევე ესწრებოდნენ ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი კონსტანტინე კორკელია და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი კრისტიან ურსე.

შეხვედრაზე მხარეებმა 2015 წლის აგვისტოში განხორციელებული რეფორმა მიმოიხილეს, რომლის შედეგადაც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური შეიქმნა.

ევროპის საბჭოს დელეგაცია, ადამიანის უფლებათა კომისრის ნილს მუჟნიეკის ხელმძღვანელობით, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება და ვიზიტის ფარგლებში, ახორციელებს შეხვედრებს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

***„ვერსიანიუსი“***

## იუსტიციის უმაღლესი საბჭო პარტიებსა და მედიას საგანგებო მოწოდებით მიმართავს

იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო სექტორსა და მედიას, გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისაგან, რომლებიც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტსა და პრესტიჟს, — ამის შესახებ საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

**„იმ საზოგადოებრივი ინტერესის და რეზონანსის გათვალისწინებით, რომელიც სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის სასამართლო დავასთან დაკავშირებით არსებობს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აუცილებლად მიიჩნევს, განაცხადოს შემდეგი:**

**ყველას აქვს უფლება გამოხატოს, მათ შორის, კრიტიკული მოსაზრება, სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევს სასამართლო კორპუსისა და კონკრეტულ მოსამართლეთა მისამართით ნებისმიერ ისეთ საჯარო განცხადებას, რომელიც აშკარად შეურაცხყოფს სასამართლოს პრესტიჟსა და ავტორიტეტს და შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც სასამართლოს ან/და მოსამართლის დაშინების, ზეწოლის ან, მათზე რაიმე ფორმით გავლენის მოხდენის მცდელობა. ასეთმა განცხადებამ, შეიძლება ასევე დააზარალოს ზემდგომ, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციებში საქმის დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და შინაგანი რწმენის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანა და მართლმსაჯულების აღსრულება.**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის, ასევე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი, ხოლო მე-8 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულებას, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ გაერთიანებას, თანამდებობის პირს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს ეკრძალებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა. მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.**

**სასამართლოს გადაწყვეტილებები ემყარება კანონსა და მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც მოსამართლის მიერ შეფასებულია შინაგანი რწმენის საფუძველზე და ამასთან, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უმთავრესი პრინციპის განუხრელი დაცვით.**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს სახელისუფლო თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო სექტორს, ინტერესთა ჯგუფებს, ისევე მასმედიას, გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისაგან, რომლებიც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტსა და პრესტიჟს და იწვევს სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის დაკარგვას“,** — აღნიშნულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადებაში.

***„ინტერპრესნიუსი“***

# ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატებმა შუამდგომლობა გაითხოვეს!

## მოსამართლე გიორგი სულაკაძის წინააღმდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ფოთის საზღვაო ნავსადგურიც მიმართავს



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**9 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში „ფოთის წისქვილქარხნის“, ხოლო 10 ნოემბერს — „პრომეტკოსა“ და „ჯეესკოს“ საქმეების განხილვა გაიმართა. ორივე საქმეზე მოსარჩელე ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილია. „ფოთის წისქვილქარხნის“ ნაწილში, ჩხარტიშვილი ამერიკულ „ტრანსფორდს“, კანადურ „პორტლენდს“, „აგრიკომსა“ და თიბისი ბანკს უპირისპირდება, ხოლო „პრომეტკოსა“ და „ჯეესკოს“ ნაწილში — ფოთის საზღვაო ნავსადგურს.**

9 ნოემბერს გამართული პროცესი ხანმოკლე აღმოჩნდა. ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატებმა, რომლებმაც 2015 წლის 14 აგვისტოს, მოსამართლე გიორგი სულაკაძის მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ შუამდგომლობა დააყენეს, 9 ნოემბრის სხდომაზე, მოულოდნელად გაითხოვეს. საქმის მასალების მიხედვით, ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი „ფოთის წისქვილქარხნის“ მფლობელობას „პორტლენდს“, „ტრანსფორდს“, „აგრიკომსა“ და თიბისი ბანკს ედავება.

ბიზნესმენი წლების წინ გაყიდული ობიექტის უკან დაბრუნებასა და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად იმ თანხას ითხოვს, რაც შესაძლოა, მოგების სახით, „ფოთის წისქვილქარხანას“ მიეღო. „ტრანსფორდისა“ და „პორტლენდის“ ადვოკატის, **სოსო ბარათაშვილის** განმარტებით, ვანო ჩხარტიშვილი მოპასუხეებისგან 32 მილიონ აშშ დოლარს ითხოვს.

„ვერსია“ უკვე წერდა, რომ 2015 წლის 14 აგვისტოს, მოსამართლე გიორგი სულაკაძემ, ნაწილობრივი გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლითაც „ფოთის წისქვილქარხნის“ აუქციონის შედეგები და ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად სცნო. პროცესი, რომელიც 9 ნოემბერს იყო ჩანიშნული, მოსამართლე სულაკაძემ 25 ნოემბრისთვის გადადო:

**„9 ნოემბერს გამართული პროცესი საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. მოსარჩელე ივანე ჩხარტიშვილის მხარემ, თავისი შუამდგომლობა დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ, გაითხოვა. მოსამართლე გიორგი სულაკაძემ კი პროცესი 25 ნოემბერს გადადო და გადაწყვეტილება ფინანსურ ნაწილში, სავარაუდოდ, 25 ნოემბერსვე გამოცხადდება“,** — აღნიშნა სოსო ბარათაშვილმა.

10 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ვანო ჩხარტიშვილის კომპანიების „პრომეტკოსა“ და „ჯეესკოს“ სარჩელი ფოთის საზღვაო ნავსადგურის წინააღმდეგ, ისევ მოსამართლე გიორგი სულაკაძემ განიხილა. არადა, ეს სარჩელი, რომელსაც მოსამართლე სულაკაძე იხილავს, ფოთის საქალაქო სასამართლომ გააერთიანა, ახალი ნომერი მიანიჭა და ამავე სასამართლოს დაუქვემდებარა. მიუხედავად ამისა, ჩხარტიშვილის წარმომადგენლების სასარგებლოდ, მოსამართლე გიორგი სულაკაძემ, ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინება უგულებელყო, რადგან საქმის მასალებს ფოთში არ აგზავნის და ამ დავის დამოუკიდებლად განხილვას განაგრძობს.

„ვერსიაში“ ვწერდით, რომ 6 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი სულაკაძესთან დაკავშირებით, „ტრანსფორდის“ წარმომადგენლებმა და ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა, მთავარ პროკურატურასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართეს, რომლითაც გიორგი სულაკაძის მართლზომიერი ქმედების შესწავლას ითხოვენ. სოსო ბარათაშვილის განცხადებით, მოსამართლე გიორგი სულაკაძემ უხეშად დაარღვია კანონი და იმის ნაცვლად, რომ საქმის მასალები ფოთის საქალაქო სასამართლოში გადაეგზავნა, თბილისის საქალაქო სასამართლოში უნომრო საქმის განხილვას განაგრძობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლე გიორგი სულაკაძე სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლს არღვევს.

აქედან გამომდინარე, 10 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართული პროცესი აბსოლუტურად უკანონო იყო. „ვერსიას“ ს/ს ფოთის საზღვაო ნავსადგურის იურისტი, **მარიამ ვაშაკიძე** ესაუბრება:

**„ჯერჯერობით დავა გრძელდება და მოსამართლე გიორგი სულაკაძემ შემდგომი სხდომა 19 ნოემბერს ჩანიშნა. ამ პროცესზე, კიდევ ერთხელ დადგა შუამდგომლობა, რომ საქმის მასალები, რომლებიც ფოთის საქალაქო სასამართლომ გამოითხოვა, გიორგი სულაკაძეს გადაეგზავნა, მაგრამ მოსამართლემ ამ შუამდგომლობაზე ისევ უარი გვითხრა. 10 ნოემბერს გამართულ პროცესზე, მოსარჩელე მხარის სამი მოწმე — ივანე ჩხარტიშვილი, ლევან ჯღარკავა და რატი ღვამბერია დაკითხეს. ჩვენ პრინციპული უარი ვთქვით მოწმეთა დაკითხვაზე, რადგან ვთვლით, რომ ეს სასამართლო პროცესი სამართლებრივ ჩარჩოებს მიღმა ტარდება. რეალურად, მოსამართლე გიორგი სულაკაძე, უფლებამოსილი მოსამართლე არ არის, რათა ეს დავები განიხილოს. როგორც კი საშუალება მოგვეცემა, რომ ამ საქმის განხილვა ფოთის საქალაქო სასამართლოში გაგრძელდება, რა თქმა უნდა, ფოთის საზღვაო ნავსადგური საკუთარ მოწმეებს წარადგენს და მათ დავკითხავთ კიდეც. სამწუხაროდ, საქმე გვაქვს მოსამართლე გიორგი სულაკაძის მიკერძოებულობასთან, რადგან სხვა მხრივ, ნამდვილად ვერ აიხსნება ის ფაქტი, თუ რატომ ცდილობს სულაკაძე ეს საქმე მაინცდამაინც მან განიხილოს. მით უმეტეს, ისეთ ვითარებაში, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლო ისედაც გადატვირთულია“.**

როგორც მარიამ ვაშაკიძემ „ვერსიას“ განუცხადა, მოსამართლე გიორგი სულაკაძის წინააღმდეგ, ფოთის საზღვაო ნავსადგურის წარმომადგენლებმაც შეიტანეს საჩინარი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ნინო გვენეტაძესაც მიმართეს.

ვერსიანიუსი

## შსს-მ „საქართველოს ბანკიდან“ 10 მილიონამდე მოპარვისთვის ორი პირი დააკავა



შსს-მ „საქართველოს ბანკიდან“ 10 მილიონამდე ლარის ქურდობის საქმე გახსნა. როგორც შსს-ში გამართულ ბრიფინგზე მთავარი სამმართველოს უფროსმა, მამუკა ჭელიძემ განაცხადა, შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული თამარ კ. და 1966 წელს დაბადებული მალხაზ ბ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ამჟამად ძებნაში მყოფი, 1977 წელს დაბადებული ილია გელაშვილი მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს, თბილისში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ საცავიდან 9 197 771 ლარს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა. გამოძიებით დადგინდა, რომ ნაქურდალი ფული თამარ კ-მ და მალხაზ ბ-მ წინასწარი შეთანხმების თანახმად გადამალეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, თამარ კ. და მალხაზ ბ. თბილისში დააკავეს. დაკავებულების საცხოვრებელი ბინისა და სარდაფის ჩხრეკისას მოპარული თანხის ძირითადი ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ილია გელაშვილის დასაკავებლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ფულადი თანხის ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

***„ინტერპრესნიუსი“***

პატიმარი №0578

**არცთუ იშვიათად, ევროპაში მცხოვრებ ქართველებს მკვლელობაზე აპატიმრებენ. სასჯელს, ძირითადად, ევროპაშივე იხდიან და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოში მათ ექსტრადირებაზე მხარეები უარს ამბობენ. იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში, ქართული მხარე მაქსიმალურად ცდილობს, კონკრეტული ევროპული ქვეყანა დაარწმუნოს, რომ მის მიერ დაკავებულ კრიმინალს საქართველოშიც სათანადოდ მიუსჯიან... პატიმრის ოჯახს კი ექსტრადირება არცთუ ცოტა ფული უჯდება...**

# კრიმინალი ქალის ხაფანგში

## როგორ „შეტენა" ბულგარელების ბანდამ ქართველ სტუდენტს ანტიკვარული საათის მოპარვა



2008 წელს, საფრანგეთში 60 წლამდე კაცი მოკლეს. სამართალდამცავებმა ქართველი სტუდენტი დააკავეს, რომელსაც ბრალი დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისა და ქურდობისთვის წაუყენეს. ბინა ბოლომდე იყო გასუფთავებული, თუმცა ბიჭმა მკვლელობა აღიარა, ქურდობას კი კატეგორიულად უარყოფდა. ამ ფაქტმა ფრანგი სამართალდამცავები დააბნია. ქართველ სტუდენტს, უნივერსიტეტმა, სადაც იგი სწავლობდა, სანიმუშო დახასიათება მისცა. მიუხედავად ამისა, მაინც შეუფარდეს ათწლიანი პატიმრობა. სხვათა შორის, მოკლულის მეუღლე ამბობდა, სახლიდან მე-19 საუკუნის დასაწყისში გაკეთებული, ოქროს ანტიკვარული საათია დაკარგული, ჩემს მეუღლეს მამამისმა აჩუქა, სამამულო ომიდან ჩამოუტანა და თუ მაგას დააბრუნებს, სასჯელი გაუნახევრეთო. ქართველმა სტუდენტმა ჩვენება მაინც არ შეცვალა — ჯიუტად იმეორებდა, ბინა არ გამიქურდავსო და საათის ამბავიც მიჩუმათდა...

ნამდვილად ვერ გეტყვით, რამდენი გადაიხადა ოჯახმა, ან როგორ მოახერხა ქართულმა მხარემ, მაგრამ ფაქტია: 2011 წელს, მკვლელობისთვის გასამართლებული ქართველი სტუდენტის ექსტრადირება მოხერხდა და სასჯელის მოხდა საქართველოში განაგრძო — რუსთავის №17 დაწესებულებაში მიიყვანეს. არ იყო ავთო ფიზიკურად ძლიერი, ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ფრანგი სტუდენტი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, სუსტი, სათვალით... თავიდან ყურადღება არავინ მიაქცია, მაგრამ შემდეგ განაჩენი მოუტანეს, ფრანგულიდან ქართულად ნათარგმნი და მისმა განაჩენმა გამოცდილი „პრისტუპნიკები" დააინტერესა. ერთ დღესაც, ძველმა კრიმინალებმა პატიმარ №0578-ს საკუთარ კამერაში უხმეს.

„აბა, როგორ ხარ, ძმა? რაღაც ახალი პატიმრების „პატოკმა" იკლო და შენც გეტყობა, ისტორიების ნაკლებობას განიცდი. არ გინდა, მაგარი თემა მოგცეთ?!" — ჰკითხეს №0578-ს.

პატიმარმა იცოდა, მაშინ ეძახდნენ, როცა ძველები, კრიმინალური სამყაროს აკადემიკოსები, სხვა პატიმრებთან კონტაქტს, მათი მქუხარე სახელის გამო ერიდებოდნენ. მიხვდა, რომ ძალიან უჭირდათ, გაუღიმა, მერე ნარზე წამოკოტრიალდა და ღიმილით უთხრა: „გისმენთ, პროფესორებო".

„მოკლედ, შენ ახლა ღადაობას შეეშვი და სერიოზულად მოგვისმინე. ახალი პატიმარია, ავთო ჰქვია, საფრანგეთის ციხიდან გადმოამსერეს აქეთ. ისე ჩანს, „სვაბოდაზე" მალე გავა. აგერ, მაგის განაჩენი, სადაც დეტალურად არის ყველაფერი აღწერილი და ისიც, როგორ დაიკარგა იმ ბინიდან ანტიკვარული საათი. ეგ საათი, მინიმუმ, ორასი ათასი ევრო ღირს. საფრანგეთში კი, იცი შენ, რამხელა გავლენა გვაქვს და თუ იმას ათქმევინებ, საათი სად არის, ვალში არ დაგრჩებით. შეუძლებელია, ტიპმა კაცი დაბრიდოს, ბინა გაასუფთაოს და ყველაზე ღირებული ნივთი არ წაიღოს. სწორედ მაგ საათის გამოა დაბრედილი ის კაცი და... შენებურად თუ მოუვლი, თუ ათქმევინებ, სად არის, დანარჩენი ჩვენზეა. მოკლედ, შენ ის ათქმვინე, სად არის და ვიპოვით თუ არა, ყველა ვარიანტში ათ პროცენტს მიიღებ ანუ ორასი ათასის ათ პროცენტს", — დაასრულეს კრიმინალებმა.

„და ქურდული წილი რომ ოცი პროცენტია?" — თვალები მოჭუტა №0578-მა.

„ეგ ქურდებისთვის არის, შენ კაიბიჭიც არ ხარ და ამიტომ, ათი პროცენტი გეყოფა", — გაუღიმეს კრიმინალებმა.

„ჰოდა, თუ კაი ბიჭი არ ვარ და არც ქურდული წილი მეკუთვნის, თავად დაკითხეთ ის ავთო და თავად ათქმევინეთ", — თქვა №0578-მა და ნარიდან წამოდგა.

ასაკოვანმა კრიმინალებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ ვიდრე რამეს იტყოდნენ, №0578-ს გაეცინა და მიხვდნენ, რომ ხუმრობდა.

„მოკლედ, შევეცდები, ვათქმევინო და თუ ვერ იპოვით, მაშინ არც წილი მინდა და არც არაფერი. თუ იპოვით, სიამოვნებით მივიღებ იმ ათ პროცენტს", — გაუღიმა ძველებს და კამერიდან გავიდა.

№0578 ავთოს იცნობდა. იცოდა, ვინც იყო და მისი ისტორიაც, ასე თუ ისე, იცოდა. თავადაც ეძებდა შესაბამის მომენტს, რომ დალაპარაკებოდა, მაგრამ ის ყველას გაურბოდა და როგორც ზედამხედველები ამბობდნენ, მხოლოდ იმას ელოდა, როდის დაუძახებდნენ „სვაბოდაზე". „სვაბოდაზე" კი მალე რომ დაუძახებდნენ, ყველა ხვდებოდა. აკი, თქვეს კიდეც ზედამხედველებმა, ისეთი ხალხი რეკავს, მაგ ბიჭს თმიდან ერთი ღერიც არ ჩამოუვარდესო, რომ უეჭველი გაიყვანენო. ამიტომ, რაღაც ახალი იყო მოსაფიქრებელი, რამე საინტერესო და ისეთი, რაზეც ავთო უარს ვერ თუ არ იტყოდა.

ერთი დღის შემდეგ, №0578 ავთოსთან მივიდა და სიგარეტი სთხოვა. „არ ვეწევი", — ჩუმად უთხრა ავთომ და გაშორდა. №0578 მშვიდად გაჰყვა და გაცვეთილი ფრაზა უთხრა: „ჯანმრთელი გინდა მოკვდე?!" ავთომ პასუხი არ გასცა, ნაბიჯს აუჩქარა და კამერაში მიიმალა. ცოტა ხანში კამერაში №0578-იც შევიდა.

„მომისმინე, პირყვითელავ, შენზე ნადირობის სეზონის გამოცხადებას აპირებენ. თუ დამელაპარაკები, ეგებ, გადარჩე კიდეც, თუ აქედან წასვლას დააპირებ, გარეთ შენებს მიწვდებიან და ახლა შენ გადაწყვიტე, ჩემთან საუბარი გირჩევნია თუ შენი თავის და შენების სამიზნედ ქცევა. პრინციპში, შენ უკვე ხარ სამიზნე და მე ვარ გადაფარებული შენზე. შეგიძლია მაყურებლებთან გადაამოწმო. შენი საქმის შენ იცი, მე ჩემი გითხარი. კი იცი, რომელ კამერაში ვარ და თუ არ იცი, იკითხე, გეტყვიან", — ჩუმად უთხრა ავთოს და კამერიდან გავიდა.

იმ დღეს საინტერესო აღარაფერი მომხდარა, მეორე დილით კი №0578-ს კამერის კარი ავთომ შეაღო. თვალებზე ეტყობოდა, მთელი ღამე არ ეძინა. ნარზე წელმოწყვეტით დაეშვა, თუმცა №0578-მა ანიშნა, ხმა არ ამოიღოო. წამოდგა, ყავა მოადუღა, შოკოლადის ფილა დაამტვრია და სიგარეტს მოუკიდა.

„დალიე, დამშვიდდი და მერე დაიწყე", — უთხრა ავთოს. სტუდენტმა ყავა მოსვა, შოკოლადსაც წაატეხა და დაიწყო.

„გოგო მიყვარდა... უფრო სწორედ, კი არ მიყვარდა, იქ გავიცანი, საფრანგეთში. იმ სახლში მუშაობდა დამლაგებლად. ცოტა ხანში ჩემთან გადავიყვანე საცხოვრებლად, მე ბინა მქონდა ნაქირავები, ისიც ნაქირავებში სამ თუ ოთხ დაქალთან ერთად ცხოვრობდა. ცოლად მოყვანას ვაპირებდი, საქართველოშიც მყავდა, ჩემებიც იცნობდნენ... მერე და მერე ისე დავახლოვდით, ყველაფერს ვუყვებოდით ერთმანეთს. ბავშვზე ვფიქრობდი უკვე. ერთ დღეს იარაღი მოიტანა სახლში, ქუჩაში ვიპოვეო. შემეშინდა, პოლიციას ჩავაბაროთ-მეთქი და იყოს, პოლიციაში რა გვინდა, გამოკითხვას დაგვიწყებენ და მერე, როცა მოვიცლით, მდინარეში გადავაგდოთო. ეგ ჭკუაში დამიჯდა, ქართველ პოლიციელებს ხომ იცი, როგორ აქვთ ეგ ამბავი მოწყობილი... მიიტან იარაღს და შენიაო, გიმტკიცებენ. ამიტომ, ის იარაღი უჯრაში ჩავაგდე იმ იმედით, რომ უიქ-ენდზე სადმე მდინარეში ან ბოლობოლო, ნაგავში ჩავაგდებდით. ორი დღის შემდეგ დამირეკა ჩემმა გოგომ ატირებული ხმით და მითხრა, სახლის პატრონმა გამაუპატიურაო. ვერ გეტყვი, რა დამემართა, სისხლი კინაღამ ჩამექცა ტვინში. სახლში შევვარდი, იარაღს ხელი დავავლე და იქ გავიქეცი. კარი სახლის პატრონმა გამიღო და მაშინვე ვესროლე. მხოლოდ იმის თქმა მოასწრო, „პოლისო" ანუ პოლიციას ეძახდა. სახლში შევედი, თავდაყირა დამხვდა იქაურობა, მაშინ მეგონა გაუპატიურების დროს აირია ყველაფერი. ჰოდა, ვიდრე ოთახებში ვეძებდი შეყვარებულს, მანამ პოლიცია მოვიდა და ხელში იარაღით დამიჭირა. სასამართლოზე გავიგე, რომ ბინა გაქურდული იყო, ის კაცი რომ დაბრუნდა სახლში, პოლიციაში დარეკა და სანამ პოლიცია მივიდა, მე მივედი და ვესროლე. მერე ადვოკატმა მითხრა, ეგ ბულგარული დაჯგუფებაა, პირველი არ ხარ, ვინც ასე გააბესო და სასამართლოზე ხმა არ გამიღია. რა აზრი ჰქონდა? ასე რომ, არც იმ საათის და ზოგადად, ერთი ნივთისაც არაფერი ვიცი", — დაასრულა მოყოლა ავთომ.

ერთ საათში, №0578 ძველი კრიმინალების კამერაში იყო და ავთოს ნაამბობს უყვებოდა.

„ხომ არ გაბოლებს?!" — ჰკითხეს №0578-ს.

„არა, გულწრფელი ჩანდა. მაგრამ იმ თქვენს ახლობლებს საფრანგეთში გადაამოწმებინე, ეს პირველი შემთხვევაა თუ არა და უფრო მარტივი იქნება იმის მიხვედრა, გვაბლოებს თუ არა", — ურჩია კრიმინალებს.

„არიფი ყოფილა ეგ შენი ავთო, კახპამ დააბა. მართალს ჰყვება, იმ კამანდას მთელი საფრანგეთი ეძებს, თურმე. დამლაგებლებად სერიოზულ ბაითებში შედიოდნენ და ორი მილიონი ევროს ტავარი აქვთ გაზიდული. ერთი ეგაა, მკვლელობით მარტო ეს დამთავრდა, დანარჩენები ჩხუბით შემოიფარგლნენ, თურმე", — უთხრეს ორი კვირის შემდეგ კრიმინალებმა №0578-ს.

„ჯერ ერთი, „ჩემი ავთო" არ არის და მეორეც, ქართველებს ალბათ სხვანაირად გვესმის სიყვარულიც და ქალის პატივისცემაც", — თქვა №0578-მა.

***

ავთო ციხიდან მალე გავიდა, სასწავლებლად ისევ ევროპას, ოღონდ ამჯერად ავსტრიას მიაშურა, თუმცა ერთი წლის შემდეგ, ქუჩაში ტაქსი დაეჯახა და ადგილზე მოკვდა. ბედის ირონიით, ავტომობილის მძღოლი ბულგარელი მიგრანტი იყო...

ვერსიანიუსი

## კახეთში შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გაიხსნა




შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ თეიმურაზ მღებრიშვილმა და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორმა ზვიად ქაწაშვილმა თელავში საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გახსნეს. ღონისძიებას კახეთის რწმუნებულ-გუბერნატორი და თელავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელდა ძველი სამსართულიანი შენობისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. თელავის ოფისი ახალი ინვენტარითა და ტექნიკით აღიჭურვა, მეხანძრე-მაშველებისთვის სასწავლო კოშკურა აშენდა, მათ ასევე ყოველდღიური და საბრძოლო ფორმები გადაეცათ.

ღონისძიების ფარგლებში სიმულაციური ჩვენება ჩატარდა, რომლის დროსაც მეხანძრე-მაშველებმა კოშკზე საიერიშო კიბით ასვლა, დაზარალებულის საკაცით გრძელ თოკზე დაშვება, სამკუთხედით ევაკუაცია, კედელზე და სამკუთხედით გაჭიმულ თოკზე სწრაფი დაშვება განახორციელეს. სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს სამმართველოს ახალი შენობა, სახანძრო-სამაშველო ტექნიკა, სრული აღჭურვილობა და განახლებული ავტოფარეხი.

## პოლიციამ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და მარიხუანა ამოიღო




შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1972 წელს დაბადებული ზურაბ ვ. თბილისში, ლიბანის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ზურაბ ვ-ს პირადი ჩხრეკისას, 25,72 გრ ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა, ხოლო მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ჩხრეკისას „აკა-ემ"-ის მოდელის არარეგისტრირებული, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდითა და 23 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებით ზურაბ ვ-ს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

*„ვერსიანიუსი"*




1. ეკლესიიდან განდევნა, შეჩვენება
2. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი
3. დამხმარე სიტყვა ან ნაწილაკი
4. ერთ-ერთი სახარების ავტორი
5. მეცნიერული კვლევის მეთოდი
6. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
7. ხალხური გადმოცემა, თქმულება
8. ნული ქულა კაზინოში
9. სესილია თაყაიშვილის კინოროლი
10. „ლუჩია დი ლამერმურის“ კომპოზიტ.
11. ნახევრად ძვირფასი მოცისფრო ქვა
12. ამერიკელი კინორეჟისორი
13. ცხენის აღკაზმულობის მთავარი ნაწილი
14. დასვენების დღეები ევროპაში
15. იგივეა, რაც მსაჯი
16. ინგლისის ძველი სახელწოდება
17. სტალონეს კინოროლი
18. ქალაქი საფრანგეთში
19. ადამიანის ორგანიზმის „ძრავა“
20. იაზონის კოლხი მეუღლე
21. მწერალი ... ტოლსტოი
22. ფინური აბანო
23. ქმრის ძმა
24. მოძრავი ტიხარი
25. ინდიელთა შხამი
26. იგივეა, რაც მსახიობი
27. კლდიაშვილის „ღორებიანი“ პერსონაჟი
28. კოლუმბის მშობლიური ქალაქი
29. ფეხბ. ... გიგზი
30. მოზაიკის ქვა
31. ჩეხური ავტომარკა
32. იაპონური მაფია
33. სანელებელი მცენარე
34. უხეში მიტკალი
35. ხევისბერი გოჩას ვაჟი
36. კათოლიკური წირვა
37. რუსული ჯიპი
38. დამუხტული ატომი
39. იტალიის საფეხბურ. კლუბი
40. კოვბოის ქამანდი
41. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში
42. იგივეა, რაც ჭრილობა
43. ჭადრაკის ფიგურა
44. ბელორ. მწერალი ... კუპალა
45. ქალაქი სამეგრელოში
46. ძროხის ნაშიერი
47. ჩილელი ნობელიანტი პოეტი
48. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
49. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
50. არაბული ფლეიტა
51. მტკვარი - რუსულად
52. (გერმ.) აღმოსავლეთი
53. არზაყანის ცოლი „მთვარის მოტაცებაში“
54. ცეცხლის მნათი ნაწილი
55. გაზაფხულის ყვავილი
56. ტოგოს დედაქალაქი
57. დასტურის სიტყვა ესპანურში
58. პატარა ჩანთოსანი დათვი
59. სოლომონის კუნძულების დედაქალაქი
60. პარიზის აეროპორტი
61. გერმანელი ფიზიკოსი
62. ზედაყბის ძვლის წიაღის ლორწოვანი გარსის ანთება
63. სითბოს რაოდენობის ერთეული

# ბრიტანეთში „ფეკალური ავტობუსი“ დადის

ყველამ იცის, რომ ადრე თუ გვიან, პლანეტაზე ნავთობის მარაგი ამოიწურება, ამიტომ მსოფლიოში ცდილობენ, აქტიურად აითვისონ ენერგიის ალტერნატიული წყაროები. ბრიტანულ ქალაქ ბატში პირველი ავტობუსი დადის, რომელიც ადამიანის ექსკრემენტებისა და საკვები ნარჩენებისგან მიღებულ საწვავზე მუშაობს. პროცესის მეშვეობით, რომელსაც „ანაერობული დუღილი“ ეწოდება, ნაგვისა და ფეკალური მასებიდან ხდება წვისთვის ვარგისი ბიომეტანის მიღება; ამასთან, ასეთი გაზის წვისას ჰაერში გაცილებით ნაკლები მავნე ნივთიერება გამოიბოლქვება. აღნიშნავენ იმასაც, რომ ექსკრემენტები, რომელსაც წელიწადში ხუთსულიანი ოჯახი გამოყოფს, ამ ეკოლოგიური ავტობუსის 200 კილომეტრის გავლას უზრუნველყოფს. ახალი „ფეკალური ავტობუსი“, რომელშიც მგზავრებისთვის 40 ადგილია განკუთვნილი, ბრისტოლის აეროპორტსა და ქალაქ ბატს შორის მოძრაობს. ერთი თვის განმავლობაში ამ ეკოლოგიურ მანქანას 10 ათასი ადამიანის გადაყვანა შეუძლია.




# დაიძინეთ წიგნის თაროზე



წიგნის კითხვა ბევრ ადამიანს უყვარს, თუმცა, არიან ისეთები, ვისაც არ შეუძლია დაიძინოს, თუ წიგნის ერთიორ გვერდს არ გადაფურცლავს. სწორედ ასეთი ადამიანებისთვის გაიხსნა ტოკიოში ოტელი Book and Bed („წიგნი და საწოლი“). ეს იდეალური ადგილია იმისთვის, რომ საკითხავთან ჩახუტებულმა დაიძინო. ასეთი სასტუმროს იდეა ფირმის Suppose Design დიზაინერებს ეკუთვნის. ოტელში ორი სახის ნომრებია — კომპაქტური, სადაც 205X85 სმ-ის ზომის განყოფილებაა საწოლით და მეორე „სტანდარტული“ — 205X129 სმ. ამ ოტელში ღამის გატარება 3800-დან 6 ათას იენამდე ღირს (32-დან 50 დოლარამდე). ჯერჯერობით სასტუმრო-ბიბლიოთეკაში მხოლოდ 1700 წიგნია იაპონურ და ინგლისურ ენებზე, თუმცა მომავალში მისი მესვეურები აპირებენ, 300 ათას ეგზემპლარამდე შეავსონ.

# სუიციდისკენ მიდრეკილებს კუბოში აწვენენ



სპეციალისტების თქმით, ასეთი თერაპიის შემდეგ ადამიანი სიცოცხლეს მეტად აფასებს. სამხრეთ კორეაში, სუიციდისკენ მიდრეკილი ადამიანების ცენტრში, კლიენტებს, ვინც დეპრესიაშია, სიკვდილის გააზრებას სთავაზობენ, საამისოდ კი თავდახურულ კუბოში 10 წუთით აწვენენ. ეს ადამიანები ასევე, ადგენენ ანდერძს და წერენ უკანასკნელ წერილს ახლობლებსა და მეგობრებს. აღსანიშნავია, რომ ცენტრის კლიენტებს შორის სტუდენტებიც არიან, რომლებიც თავს ვერ ართმევენ სწავლის პროცესს, არიან საშუალო ასაკის ადამიანებიც, ვისაც ფინანსური პრობლემები შეექმნა და ხანდაზმულებიც, რომელთაც არ სურთ ოჯახისთვის ტვირთად იქცნენ. კუბოში „სიკვდილის განცდის“ შემდეგ, ცენტრის კლიენტები აცხადებენ, რომ თავს პრობლემებისგან „გათავისუფლებულად“ გრძნობენ, აცნობიერებენ სიკვდილის არსს და მიდიან დასკვნამდე, რომ ვიდრე ცოცხლები არიან, არ ღირს დანებება. სამხრეთ კორეაში თვითმკვლელების რიცხვი არ იკლებს, ყოველდღიურად აქ 40 ადამიანი იკლავს თავს, რის გამოც, კორეა განვითარებულ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა სუიციდის შემთხვევათა რაოდენობის მიხედვით.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | 6 | | | | |
| | | 3 | 2 | | | | 9 | |
| | | 6 | 9 | 8 | 7 | | | |
| 1 | | 9 | | | | | | 4 |
| | | 8 | 1 | | 2 | 9 | | |
| 6 | | | | | | 1 | | 7 |
| | | | 7 | 1 | 5 | 4 | | |
| | 9 | | | | 4 | 3 | | |
| | | | | 9 | | | 7 | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | | 5 | | 9 | |
| | | 5 | 3 | | | 2 | | |
| | | | 8 | | | 7 | | |
| | | | 1 | 3 | | | 6 | |
| | 9 | 8 | | 2 | | 1 | 5 | |
| | 2 | | | 5 | 6 | | | |
| | | 3 | | | 1 | | | |
| | | 2 | | | 3 | 8 | | |
| | 4 | | 5 | | | | | 1 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | | | | | | |
| | | 8 | 3 | | | 7 | | |
| 4 | 5 | | 8 | | 6 | | 1 | |
| | | 1 | 9 | | | | 4 | |
| 5 | | | | 2 | | | | 8 |
| | 2 | | | | 3 | 1 | | |
| | 3 | | 1 | | 4 | | 8 | 7 |
| | | 7 | | | 8 | 4 | | |
| | | | | | | | | 6 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 6 | | | | 5 | | |
| | | 3 | 5 | 6 | | | 8 | |
| | | 5 | | 3 | | | | 1 |
| | 5 | | 3 | | | | | |
| | | 2 | | 1 | | 8 | | |
| | | | | | 6 | | 5 | |
| 5 | | | | 9 | | 2 | | |
| | 2 | | | 8 | 3 | 4 | | |
| | | 4 | | | | 7 | 3 | 6 |

## „ტერორისტი" კატა დაიჭირეს



ცოტა ხნის წინ აშშ-ში კურიოზი მოხდა. კონექტიკუტის შტატში ადგილობრივმა ხელისუფლებამ კატას, სახელად „ტომს“, შინაპატიმრობა მიუსაჯა, მისი პატრონი კი 5 ათასი დოლარით დააჯარიმა. როგორც სამართალდამცველები ამბობენ, კატა სერიულ თავდასხმებშია ბრალდებული. ის სრულიად უცნობ ადამიანებს ჩუმად ეპარებოდა და ბრჭყალებითა და კბილების მათთვის ზიანის მიყნებას ცდილობდა. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის შემდეგ, როცა ტომი მანქანიდან გადმოსულ პიროვნებას მიახტა და დაკაწვრას შეეცადა, დაზარალებულმა პოლიციას მიმართა და შინაური ცხოველის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა — კატის პატრონს მორალური და ფიზიკური ზიანის ანაზღაურება მოსთხოვა. ცხოველის პატრონმა განაცხადა, რომ მისი ოთხფეხა მეგობარი ასე მეზობელი ტერორისტების გამო იქცეოდა. ეს ამბავი აშშ-ში ისე გახმაურდა, რომ ტომის „დაკავების“ ფაქტი რამდენიმე ტელევიზიამ აჩვენა.

## პიცერიაში „ქვეცნობიერ“ მენიუს აამოქმედებენ



მსოფლიოში ყველაზე დიდი, Pizza Hut-ის პიცერიების ქსელში ახალი მაღალტექნოლოგიური მენიუ-პლანშეტი ამოქმედდა, რომელიც დაწესებულების სტუმრებს საშუალებას აძლევს, შეკვეთა მზერით გააკეთონ. მობილური ტელეფონის დამატების Subconscious menu (ქვეცნოიბიერი მენიუ) საშუალებით, მომხმარებელი დისპლეიზე პიცის სასურველ სახეობაზე — მის შემადგენელ ამა თუ იმ ინგრედიენტზე რამდენმე წამით შეაჩერებს მზერას. ხელმისაწვდომი 20 სახეობის შიგთავსია, რომლისგანაც პიცის 4896 კომბინაციის აწყობაა შესაძლებელი. „ქვეცნობიერი მენიუ“ თვალის მოძრაობის თვალთვალის ტექნოლოგიაზეა დაფუძნებული, რომელიც შვეიცარულმა კომპანიამ Tobii შექმნა. ამ პროგრამის მეშვეობით, კლიენტის სასურველი პროდუქტის განსაზღვრა 2,5 წამშია შესაძლებელი. როგორც ამბობენ, შეკვეთათა 98%-ში კომპიუტერი სწორ დასკვნებს აკეთებს. ახალი ტექნოლოგია პიცერიაში ჯერჯერობით ტესტირებას გადის.

## პომიდორი უნაყოფობის წინააღმდეგ



აშშ-ს კლივლენდის კლინიკის სწავლულების კვლევამ აჩვენა, რომ ნაერთი ლიკოპინი, რომელიც პომიდორს წითელ ფერს აძლევს, მამაკაცის ფერტილობის მაჩვენებელს ზრდის. აღმოჩნდა, რომ ეს ნაერთი სპერმატოზოიდების რიცხვის 70%-ით ზრდას იწვევს. სტატისტიკური მონაცემებით, 100-დან 45 შემთხვევაში წყვილის უშვილობის მიზეზი სწორედ მამაკაცია. ლიკოპინზე ჩატარებულმა 12-მა კვლევამ დაადასტურა, რომ სპერმატოზოიდების რიცხვის გარდა, ნაერთი ზრდის მათი გადაადგილების სიჩქარეს, ამცირებს დაზიანების ხარისხსა და ანომალიური სპერმატოზოიდების რიცხვს. ლიკოპინის მოქმედების მექანიზმი ჯერჯერობით უცნობია. კვლევის ავტორების თქმით, არის იმის მონაცემებიც, რომ ლიკოპინი მამაკაცის ორგანიზმს პროსტატის დაავადებისგანაც იცავს და კიბოს განვითარებასაც აფერხებს.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 6 | 2 | 7 | 1 | 3 | 5 | 9 |
| 2 | 1 | 3 | 9 | 6 | 5 | 8 | 4 | 7 |
| 9 | 5 | 7 | 8 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 |
| 6 | 7 | 9 | 5 | 3 | 2 | 1 | 8 | 4 |
| 5 | 4 | 8 | 1 | 9 | 6 | 7 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 1 | 7 | 8 | 4 | 9 | 6 | 5 |
| 1 | 3 | 5 | 6 | 2 | 9 | 4 | 7 | 8 |
| 7 | 9 | 4 | 3 | 5 | 8 | 2 | 1 | 6 |
| 8 | 6 | 2 | 4 | 1 | 7 | 5 | 9 | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 7 | 2 | 6 | 5 | 8 | 3 | 4 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 8 | 4 | 7 | 6 | 3 | 2 | 5 |
| 8 | 3 | 1 | 9 | 2 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 6 | 7 | 9 | 3 | 5 | 4 | 2 | 8 | 1 |
| 4 | 5 | 2 | 8 | 6 | 1 | 9 | 3 | 7 |
| 3 | 6 | 5 | 7 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 2 | 8 | 4 | 1 | 9 | 5 | 7 | 6 | 3 |
| 9 | 1 | 7 | 6 | 3 | 8 | 5 | 4 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 4 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 2 |
| 6 | 3 | 8 | 2 | 5 | 1 | 7 | 4 | 9 |
| 7 | 5 | 2 | 3 | 4 | 9 | 1 | 6 | 8 |
| 2 | 8 | 6 | 1 | 3 | 5 | 9 | 7 | 4 |
| 9 | 4 | 5 | 7 | 8 | 2 | 6 | 1 | 3 |
| 3 | 1 | 7 | 6 | 9 | 4 | 2 | 8 | 5 |
| 5 | 7 | 3 | 9 | 1 | 8 | 4 | 2 | 6 |
| 8 | 6 | 9 | 4 | 2 | 7 | 5 | 3 | 1 |
| 4 | 2 | 1 | 5 | 6 | 3 | 8 | 9 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 8 | 2 | 1 | 9 | 7 | 3 | 4 |
| 4 | 9 | 7 | 3 | 5 | 6 | 2 | 1 | 8 |
| 3 | 2 | 1 | 4 | 8 | 7 | 6 | 9 | 5 |
| 2 | 3 | 4 | 1 | 7 | 8 | 5 | 6 | 9 |
| 1 | 7 | 9 | 6 | 4 | 5 | 3 | 8 | 2 |
| 8 | 6 | 5 | 9 | 3 | 2 | 4 | 7 | 1 |
| 5 | 8 | 6 | 7 | 9 | 4 | 1 | 2 | 3 |
| 7 | 4 | 3 | 8 | 2 | 1 | 9 | 5 | 6 |
| 9 | 1 | 2 | 5 | 6 | 3 | 8 | 4 | 7 |

მე-9 გვერდი: 1. აბზაცი; 2. ბულიმია; 3. ანორაკი; 4. სკალდი; 5. კირილიცა; 6. ლისიპე; 7. ილიონი; 8. უსტარი; 9. როლი; 10. პრესტო; 11. ალაგე; 12. ოთურმა; 13. მუარი; 14. გოჭი; 15. იდიში; 16. ტლაპო; 17. დისკო; 18. აცე; 19. მთელი; 20. ბარი; 21. ილიამნა; 22. ელიტა; 23. მანდრაგორი; 24. არვე; 25. მელანი გრიფიტი; 26. ნომადიზმი; 27. იფიგენია; 28. მნე; 29. ბლიცი; 30. ლიმონი; 31. ხაო; 32. ლაოსი; 33. იბნ; 34. პიგმეი; 35. თაიგული; 36. არკა; 37. ანტრე; 38. ალფა; 39. ნადი; 40. იფი; 41. ემპათია; 42. მაცა; 43. საკურა; 44. იმაგო; 45. მახნო; 46. მამაი; 47. დინგო; 48. სიამი; 49. აზო; 50. ამაო; 51. ბულბული; 52. მაგია; 53. გემბანი; 54. მოსე; 55. მარგალიტა; 56. იალბუზი; 57. იდიია; 58. ბერნი; 59. ბამი; 60. ერე; 61. ბზე; 62. ნეო; 63. გიტარა; 64. ბულა; 65. ლალი; 66. კეფა; 67. როდ; 68. ასალი; 69. ტისა; 70. ნებიერა; 71. ლატი; 72. ახო; 73. ჰეკუბა; 74. ბეზე; 75. ტროლი; 76. ანი; 77. ლოსი; 78. ბაო; 79. დიოდი; 80. ბუ; 81. კანოტიე; 82. ლოლუა; 83. უხა; 84. ბალუ; 85. დუ; 86. ბორეა; 87. აბაკა. 88. ატა.

მე-10 გვერდი: 1. „კარმენი“; 2. აგრაფია; 3. მონბლანი; 4. ნესი; 5. სარქალი; 6. აგრიპინა; 7. ქობულეთი; 8. რონინი; 9. კრონოსი; 10. ანემია; 11. არიმანი; 12. ბმო; 13. ტრიბუნა; 14. ორესტე; 15. ორაგული; 16. იშთარი; 17. ალაფი; 18. კენი; 19. აპოლონი; 20. „მერანი“; 21. მაკვისი; 22. ჰავა; 23. შაორი; 24. შირერი; 25. ათენი; 26. კაენი; 27. იაბო; 28. ირიდა; 29. „ჰონდა“; 30. ვალიდოლი; 31. ურანი; 32. მიმი; 33. კვირა; 34. სპორა; 35. ლეი; 36. ანგისა; 37. ნაი; 38. ინია; 39. ნილგაუ; 40. ორსე; 41. ილტო; 42. ზიდანი; 43. დავა; 44. პაროდია; 45. ებანი; 46. აგასი; 47. პოლინომი; 48. სინი; 49. ბის; 50. სილა; 51. ოზი; 52. რა; 53. ემი; 54. ლეგა; 55. ცული; 56. ლილო; 57. ლარიქსი; 58. მანავი; 59. ვუპი; 60. ვილა; 61. აშული; 62. ანანური.

მე-12 გვერდი: 1. ურარტუ; 2. რეოსტატი; 3. რასტრელი; 4. ცხვარი; 5. ხინკალი; 6. ამნეზია; 7. ჰონსიუ; 8. ასორტი; 9. იდილია; 10. ანანდი; 11. უემბლი; 12. მალიბუ; 13. ვუდუ; 14. სტარი; 15. საუზმე; 16. ეჯიბი; 17. ადესა; 18. ლეია; 19. ატოლი; 20. ტრავმატოლოგია; 21. ულაყი; 22. იანიჩარი; 23. უზანგი; 24. ალამი; 25. აკუსტიკა; 26. ლირი; 27. უილიამ ფოლკნერი; 28. ალვეოლა; 29. იარდი; 30. ლევან; 31. იო; 32. აბულია; 33. კაისა; 34. ფრეგატი; 35. სოს; 36. იავა; 37. „ჩიორა“; 38. იუბილე; 39. უზი; 40. ფრუ; 41. ტანა; 42. მაატი; 43. გორილა; 44. სუფსა; 45. დემი; 46. ნაირობი; 47. ივლისი; 48. ფენი; 49. ტანდემი; 50. გუგა; 51. დანი; 52. ბუფონი; 53. ეფრონი; 54. ქვიშხეთი; 55. თვალი; 56. ლამბადა; 57. ვირი; 58. ფისი; 59. იზიდა; 60. რუტა; 61. ლელო; 62. ალაო; 63. ელფი; 64. უშუ; 65. გრაფინი; 66. ალენ; 67. აისი; 68. ფონი; 69. „არმინია“; 70. ნაია; 71. სირ; 72. შალი; 73. სედანი; 74. დომინო; 75. ათენა; 76. ოლე; 77. კროლი; 78. პან; 79. „თელა“; 80. ზმა; 81. მნე; 82. ოთარ; 83. კუ; 84. სოლ; 85. სიუ; 86. ლორი; 87. პინია.



1. ძლიერი და დაბალი დარტყმა ჩოგბურთში
2. აღორძინების ხანა
3. საქართველოს ექსპრემიერი
4. საბერძნეთის ეროვნული ვალუტა
5. დაზიანებულის შეკეთება, აღდგენა
6. ძველებური შინნაკეთი ფეხსაცმელი
7. ტროპიკული მცენარე შხამიანი წვენით
8. ოთხი წერტილი კამათელზე
9. აქატის ერთ-ერთი სახეობა
10. მოზაიკაში ხმარებული ფერადი ქვა
11. რეზინის ვულკანიზაციით მიღებული მაგარი მასალა
12. ბოშათა თეატრი მოსკოვში
13. ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა
14. ოფიცრის საპარადო სამხრე
15. ნახევრად დამშრალი ზღვა აზიაში
16. ბუნებრივი წყალსატევი
17. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში
18. მუხლის სახსრის ანთება
19. ბიბლიური პერსონაჟი
20. ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი
21. ალკოჰოლით მდიდარი სითხე
22. ტყის მსხალი
23. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
24. პირისახის ძვალი
25. „ადამის ხედ" წოდებული ხემცენარე
26. კოლოფი, ხელსაქმისთვის საჭ. ნივთების შესანახად
27. სასროლეთი
28. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
29. ღვინის ობი
30. ფუფალას ვირტუალური სატრფო
31. ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა
32. ნერვული სისტემის მთავარი ორგანო
33. ბადის საქსოვი ჩხირი
34. იაპონელთა ჯიბის ყუთი
35. როკ-ჯგუფი „... ზეპელინი"
36. საგანთა ჩამონათვალი
37. კათოლიკეთა მღვდელი
38. ნეაპოლიტანური მაფია
39. გასეირნება ბავშვის ენაზე
40. დაქირავებული მკვლელი ფეოდალურ იაპონიაში
41. ბუტაფორიის ან რეკვიზიტის ნივთი თეატრში
42. სალამურას მეგობარი გოგონა
43. მუსიკალური გამის III ნოტი
44. იაპონელთა ეროვნული სპორტი
45. ფორტეპიანოს მწარმოებელი ცნობილი ფირმა
46. სინარნარე მოძრაობაში
47. პერუს დედაქალაქი
48. ხურდა ფული შვედეთში
49. ჯულია რობერტსის კინოროლი ... ბროკოვიჩი
50. ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
51. ვერცხლისწყლის მეორე სახელწოდება
52. ვაზების მწკრივი ვენახში
53. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში
54. „დორიან გრეის პორტრეტის" ავტორი
55. საქორწინო გადასახადი საპატარძლოს მშობლებისთვის
56. ამაზონის დელფინი
57. ამერიკული ცეკვა
58. კურორტი საქართველოში
59. თევზის ძვალი
60. მუნჯი გერასიმეს ძაღლი
61. ბოთლში სითხის ჩასასხმ. თავფართო მილი
62. ურიცხვი, უთვალავი
63. ნერონის აღმზრდელი
64. ნესვის ხე
65. ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი
66. კატის ხმიანობა
67. ბედუინების ტრადიციული მოსასხამი
68. სუბტროპიკული ხილი
69. სიმინდის შესანახი ნაგებობა
70. დიდი რუსული მრგვალი პური
71. ფრანგი კინომსახიობი ნატალი ...
72. რეგულარული შემოსავალი კაპიტალიდან
73. წამლის ბურთულა
74. ბაბილ. მეფე, კანონების კრებულის ავტორი
75. ღრმა და შეუ-ხორცებელი ჭრილობა
76. ხვიარა ბალახოვანი მცენარე
77. ხუთი წერტილი კამათელზე
78. ავანგარდული მიმდინარეობა ხელოვნებაში მე-20 ს-ის დასაწყისის ევროპაში
79. მსახიობი ... ტაილერი
80. ნაჭდევებიანი ფოლადის ძელაკი ლითონის საფხეკად
81. აღმოსავლეთის ქვეყნებში: დილის სიმღერა, რომლითაც ეგებებიან მზის ამოსვლას
82. ანტიკური კოლხეთი
83. რომის პაპის გვირგვინი
84. ქალაქი რუსეთში
85. ნორვეგიის დედაქალაქი
86. ინგლისური სქელი ლუდი



## დამწყებ მსახიობებს კურიერებად ამუშავებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში საკვების მიწოდების ახალი სერვისი Platinum Lunch ამოქმედდა, სადაც კურიერებად ახალგაზრდა მსახიობები და მოდელები მუშაობენ, რომელთაც სამოდელო სააგენტო არჩევს. კლიენტს შეკვეთა სუსტი სქესის ასეთმა წარმომადგენელმა რომ მიუტანოს, ის სამი დღით ადრე უნდა გააკეთოს — გოგონამ უნდა მოასწროს მისატანი კერძების გაცნობა და მასში შემავალ ყველა ინგრედიენტზე კლიენტს მოუთხროს. კურიერი გოგონები მხოლოდ კორპორატიულ კლიენტებზე მუშაობენ — მათ მიაქვთ საჭმელი ოფისებში, სემინარებსა და შეხვედრებზე, მაგრამ არა სახლში. მომსახურების საფასური 30 ათასი იენია (დაახლოებით 263 დოლარი). დამატებითი გადასახადის შემთხვევაში გოგონები კამპანიის გასაწევადაც რჩებიან ან სუფრის გაწყობას თანხმდებიან.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.